დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ქუთაისის წმინდა მეფე ბაგრატ III სახელობის სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ციალა გაგნიძე
წევრები:

- ნიკა უთალიშვილი ხარისხის ექსპერტი;
- ეკატერინე მიქაუტაძე საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
- ხათუნა ჯიმშიაშვილი საზოგადოებრივი მეცნიერებები;
- ხათუნა ფანცულაია უცხოური ენები;
- დავით კიკაბიძე ესთეტიკური აღზრდა;
- გიორგი ხომასურიძე ტექნოლოგიები;
- ნიკოლოზ ჩუბინიძე სახელმწიფო ენა;
- ნინო საღარაძე მათემატიკა;
- ნინო ჭიჭინაძე ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ქუთაისის წმინდა მეფე ბაგრატ III სახელობის სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	ა(ა)იპ - არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	412796979

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქუთაისი
ფაქტობრივი მისამართი	კონსტანტინე გამსახურდიას N63
საფოსტო ინდექსი	4600
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.davitianni.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	St.bagrat3@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	599-94-04-99

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2026 წლის 27 მაისის № - MES 3 26 0000623649
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	22-23-ივნისი,2026

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პროგრამა	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პროგრამა.	ქართული	იმერეთი, ქუთაისი, კონსტანტინე გამსახურდიას N6, ერთი ძირითადი შენობა-ნაგებობა.

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ქუთაისის წმინდა მეფე ბაგრატ III სახელობის სკოლის პირველადი ავტორიზაციის მიზნით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2026 წლის 22–23 ივნისს განახორციელა ვიზიტი დაწესებულებაში. შეფასების პროცესი მოიცავდა ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტს, ასევე მეორე სტანდარტის ფარგლებში სასკოლო კურიკულუმს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შევისწავლეთ თვითშეფასების დოკუმენტაცია, ჩავატარეთ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და დაინტერესებულ მხარეებთან, დავათვალიერეთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დაწესებულების მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას — 250 მოსწავლეს — ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა.

შეფასების შედეგად დადებითად შეფასდა I სტანდარტი — სკოლის ფილოსოფია. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და საჯაროდ ხელმისაწვდომია. დადებითად შეფასდა სკოლის სტრატეგიული (2026–2033 წლების შვიდწლიანი, ციკლური) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. ექსპერტთა ჯგუფმა რჩევის სახით შესთავაზა დაწესებულებას გეგმებში გაზომვადი ინდიკატორებისა და შესაბამისი რესურსების კომპონენტის დამატება. IV სტანდარტი — მოსწავლეთა მხარდაჭერა — ასევე შესაბამისობაშია ავტორიზაციის მოთხოვნებთან.

მეორე სტანდარტის — სასკოლო კურიკულუმის — შესწავლისას გამოიკვეთა არაერთი გასაუმჯობესებელი საკითხი. ექსპერტთა ჯგუფმა საგნების (ქართული ენა და ლიტერატურა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა, საზოგადოებრივი მეცნიერებები, ტექნოლოგიები, ესთეტიკური აღზრდა) მიხედვით გასცა რჩევები რომლებიც ეხება სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სტანდარტის შესაბამისად ზუსტად გაწერას, სასწავლო საათების განაწილების, ძირითადი და დამხმარე რესურსების, აგრეთვე გრიფირებული სახელმძღვანელოს გვერდების მითითებას, შეფასების რუბრიკების გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით კონკრეტიზაციასა და დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის მექანიზმის შემუშავებას.

შეფასების პროცესში ძირითადი შეუსაბამობა გამოვლინდა III სტანდარტის ფარგლებში — ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების კომპონენტში (3.4), რის გამოც აღნიშნული სტანდარტი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება “. კერძოდ, სპორტული დარბაზის ფანჯრები არ არის აღჭურვილი დამცავი ბადეებით, რაც შეიცავს შუშის მსხვრევის რისკს; დაწესებულებას არ გააჩნია უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; არ ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი და არც შესაბამისი კანდიდატი; ხოლო სამედიცინო კაბინეტში არ არის განთავსებული მოძრავი ტიხარი იზოლირებული გარემოს უზრუნველსაყოფად.

დასკვნის პროექტის წარდგენის ეტაპზე აღნიშნული ხარვეზები ეცნობა სკოლას, რომელმაც უზრუნველყო მათი სრული აღმოფხვრა; შედეგად, მესამე სტანდარტი მოყვანილ იქნა შესაბამისობაში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 250	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი		

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სკოლას ეძლევა რჩევა სამოქმედო გეგმის დახვეწისთვის კერძოდ - გაზომვადი ინდიკატორების დამატებით, სტრატეგიული მიზნებთან აქტივობების ცალსახა მიბმითა და რესურსების კომპონენტის ასახვით, მას ავტორიზაციის სტანდარტებთან კიდევ უფრო სრულ შესაბამისობაში მოიყვანს.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პროგრამა	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური I კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში გაიწეროს ანბანის შემდგომი პერიოდი. სტანდარტის მიხედვით. ასევე დაწყებითი კლასის კურიკულუმებში მითითებულ იქნას, სასწავლო საათები როგორც ჯამურად ასევე თემების მიხედვით, ყველა კლასში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

		სასურველია, გადაიხედოს ბუნებისმეტყველების კურიკულუმები და გაიწეროს ერთიანი საგნობრივი კონცეპტუალური ჩარჩო მიხედვით. ასევე ბუნებისმეტყველების, სწავლების პროცესში დაიგეგმოს დამატებითი აქტივობები, როგორიცაა ინტეგრირებული პროექტები და მარტივი ექსპერიმენტების ჩატარება დაწყებითი საფეხურის შესაბამისად. მათემატიკა სასურველია შეივსოს ყველა განყოფილება, რაც წარმოდგენილ კურიკულუმებში. მითითებულ იქნას სახელმძღვანელოდან შესაბამ გვერდები და გრიფირებული სახელმძღვანელო. თემის ფარგლებშ დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	ტექნოლოგიები მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმებში ნაცვლად ცნებისა „კომპიუტერის აგებულება“, ჩაიწეროს „კომპიუტერის ფუნქციონირების პრინციპები“ საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებითი საფეხური 1. სასურველია, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს (მაგ. მე-4 კლასის კურიკულუმში, საგანში “მე და საზოგადოება”, არცერთ თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „პიროვნება“); 2. სასურველია, სავალდებულო თემების და სამიზნე ცნებების სახელწოდებები შესწორდეს შესაბამისი საფეხურისა და საგნის სტანდარტის მიხედვით (მაგ. მე-4 კლასის კურიკულუმში, საგანში “მე და საზოგადოება” არ არის მესამე სავალდებულო თემა „მე და ჩემი ქვეყანა“. მე-5 და მე-6 კლასის „ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმში არასწორად არის სამიზნე ცნებები); 3. უმჯობესია, კურიკულუმში დეტალურად ჩანდეს რომელი სამიზნე ცნება და ქვეცნება რომელი საკითხით/საკითხებით დამუშავდება;

		4. უმჯობესია, თითოეულ ცნებასთან მიმართებით დაზუსტდეს ქვეცნებები (მაგ. მე-6 კლასის კურიკულუმში, თემაში „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი“ სამიზნე ცნება “მეურნეობის” შესაბამისი ქვეცნება არის „სოფლის მეურნეობა“. კომპლექსური დავალებიდან გამომდინარე უნდა დაზუსტდეს ქვეცნება სწორად, მაგ. მეცხვარეობა, მეფრინველეობა, მეხორბლეობა, ან რაიმე სხვა); 5. უმჯობესია, კურიკულუმებში გაიწეროს კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში (მაგ. მე-4 კლასში დაგეგმილია 9 კომპლექსური დავალება, რომელთა განხორციელება საათობრივი დატვირთვიდან გამომდინარე სავარაუდოდ რთული იქნება); 6. სასურველია, ყველა კლასისა და საგნის კურიკულუმში, სათაურის ველში მიეთითოს ძირითადი სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორები და გამომცემლობა; 7. სასურველია, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა კურიკულუმებში მიეთითოს სხვა დამატებითი რესურსი (მაგ. მე-5 და მე-6 კლასის “ჩვენი საქართველოს” კურიკულუმებში მხოლოდ სახელმძღვანელოა მითითებული); 8. სასურველია, კურიკულუმებში მიეთითოს თითოეული თემისთვის გათვალისწინებული საათების სავარაუდო განაწილება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია რომ ბუნებისმეტყველების V და VI კლასის კურიკულუმის ჩარჩოში თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები გადაიხედოს და გაიწეროს მიმდინარე საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. კერძოდ, V კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები „დედამიწა და გარესამყარო“, „ცოცხალი სამყარო“, „სხეულები და მოვლენები“, სასურველია დამუშავდეს შემდეგი ცნებები: „სხეული“, „მოვლენა, პროცესი“,

		„გეოგრაფიული ობიექტი“, „ორგანიზმი“, „მდგრადი განვითარება“. VI კლასის კურიკულუმს დაემატოს სავალდებულო თემა „ენერგია და მისი გარდაქმნა“.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური 1. სასურველია გაიწეროს I კლასის ქართული ენის და ლიტერატურის ანბანის შემდგომი პერიოდის რესურსი, მითითებულ იქნას ამავე კლასის კურიკულუმში თითოეულ თემაზე განსაზღვრული რესურსის/ ძირითადი სახელმზრვანელოს გვერდები. მათემატიკის III კლასის კურიკულუმში გაიწეროს სასწავლო რესურსი, დამატებით და ელ-რესურსებთან ერთად. 2. ბუნებისმეტყველების III კლასის კურიკულუმში დაზუსტდეს ძირითადი რესურსი და თითოეულ თემაზე მითითებულ იქნას სახელმძღვანელოს გვერდებიც. საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებითი საფეხური 1. სასურველია, ყველა კლასისა და საგნის კურიკულუმში, სათაურის ველში მიეთითოს ძირითადი სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორები და გამომცემლობა; 2. სასურველია, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა კურიკულუმებში მიეთითოს სხვა დამატებითი რესურსი (მაგ. მე-5 და მე-6 კლასის “ჩვენი საქართველოს” კურიკულუმებში მხოლოდ სახელმძღვანელოა მითითებული); ესთეტიკური აღზრდა სასურველია ყველა კლასის მუსიკის კურიკულუმში რესურსების ველში უფრო დეტალურად იქნას მითითებული თუ რა რესურსებს გამოიყენებს

		სკოლა შუალედური და გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად ასევე რომელ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს გამოიყენებს სასწავლო პროცესში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია ბუნებისმეტყველების ყველა კურიკულუმში მითითებული იყო ძირითადი სახელმძღვანელო სრულყოფილად დასახელების, ავტორები გამომცემლობის, გამოცემის წლის მითითებით სატიტულო გვერდზე, რ გამოარჩევს დამხმარე სახელმძღვანელოებისგან. ასევე, კურიკულუმებშ სასურველია გაიწეროს თითოეული თემის საათობრივი დატვირთვა დ სკოლაში არსებული რესურსების შესაბამისად მატერიალური რესურსები.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია დიფერენცირებული მიდგომები აისახოს ბუნებისმეტყველებ კომპლექსური დავალების ფორმებში და შეფასების რუბრიკებში.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ქართულ ენასა და ლიტერატურაში I, III, IV კლასში, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში I,II,III კლასებში კურიკულუმებს დაერთოს ისეთივე შეფასების რუბრიკი რომელიც შეაფასებს გრძელვადიან მიზანთან მიმართებაში მოსწავლის მიღწევის დონეს. საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებითი საფეხური სასურველია, შეფასების რუბრიკებში უფრო მკაფიოდ იყოს ასახული სასწავლო მიზნებთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმები და შესრულების ინდიკატორები, რაც უკეთ გამოკვეთს შეფასების პროცესს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

		სასურველია ბუნებისმეტყველების შეფასების რუბრიკები გაიწეროს კონკრეტული დავალებისთვის და ორიენტირებული იყოს გრძელვადიან მიზნებზე; მათემატიკა სასურველია თითოეული დავალებისთვის შექმნან და გამოიყენ კონკრეტული თემის/საკითხის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებ დაეფუძნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზ ცნებების მიხედვით.
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	საზოგადოებრივი მეცნიერებები სასურველია, სკოლაში შემუშავდეს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის მექანიზმი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია სკოლამ შეიმუშაოს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის წესი და კათედრამ დამხმარე რესურსების ვალიდაცია ამ წესით განსაზღვრული პროცედურებით განახორციელოს.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ავლენს სკოლის მიზანმიმართულ ორიენტაციას ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტურ პრინციპებზე. მისიაში ასახულია თავისუფალი, დამოუკიდებელი პიროვნების ჩამოყალიბება, რაც თანხვედრაშია ეროვნულ მიზანთან — აღიზარდოს თავისუფალი პიროვნება, რომელსაც გააჩნია კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება. ამასთანავე, მისიაში გამოკვეთილია სამოქალაქო ცნობიერებისა და დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბების პრიორიტეტი — კანონმორჩილი, ტოლერანტი, საზოგადოებრივად აქტიური, დემოკრატიული პრინციპების მატარებელი მოსწავლის აღზრდა. სკოლა ხაზს უსვამს, რომ ყველა ბავშვი განსხვავებულია და თითოეულს აქვს განვითარების საკუთარი გზა, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ მთავარ პრინციპთან — ყველა მოსწავლის პოტენციალის გამოვლენასთან — პირდაპირ შეესაბამება.

სკოლა მისიაში ახსენებს სამ მხარეს — მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობელს — როგორც თანამშრომლობითი პროცესის სუბიექტებს, რაც თანამშრომლობითი კულტურის მზაობის მანიშნებელია სკოლის მხრიდან.

ინიდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სკოლა აქტიურად და მიზანმიმართულად განახორციელებს ნაბიჯებს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის შესაქმნელად. კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა მემორანდუმისთვის მოსამზადებელი სამუშაოების ოფიციალური მიმოწერა და დასტური, რომლის საფუძველზეც იგი ითანამშრომლებს აკ. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტთან, აღნიშნული თანამშრომლობა სკოლის ხედვით კი მოსწავლეებს საშუალებას მისცემს ჩაერთონ ღია კარის დღეებსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებში. სკოლა მდებარეობს ქუთაისის გარეუბანში, რაც

თავისთავად სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს მის საქმიანობას. ადგილობრივი თემისთვის ხელმისაწვდომი განათლების უზრუნველყოფა განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს იმ კონტექსტში, სადაც ხარისხიანი საგანმანათლებლო რესურსი ყოველთვის არ არის თანაბრად მისაწვდომი — სკოლის არსებობა კი ამ მხრივ მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას შეასრულებს. მოსწავლეებს მიეცემათ შესაძლებლობა, მიიღონ ხარისხიანი განათლება საკუთარ სამეზობლოში, გადაადგილების სირთულეების გარეშე, რაც სწავლაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ერთ-ერთი პრაქტიკული გამოხატულებაა. სკოლის ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუებიც ადასტურებს, რომ სკოლა იქნება ადგილობრივი თემის განვითარებაზე ორიენტირებული კერძო სასწავლო დაწესებულება. ეს ხედვა გულისხმობს, რომ სკოლა მხოლოდ საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებელი არ იქნება, ის ადგილობრივი თემის განვითარების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გახდება. სკოლა მიზნად ისახავს, რომ თითოეულ მოსწავლეს შეეძლოს საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების სრული გამოვლენა და ამ გზით ჩამოყალიბდეს პასუხისმგებლობის მქონე, ღირსეულ მოქალაქედ ადგილობრივი თემისთვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლამ წარმოადგინა 10.03.2026 №1 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო დოკუმენტაციაზე მუშაობასა და სკოლის მომზადებას 2026-2027 სასწავლო წლისთვის. ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ სამუშაო ჯგუფი აქტიურად იყო ჩართული სკოლის სტრატეგიული დოკუმენტაციის შემუშავებაში და პროცესი თანამშრომლობითი კულტურის პრინციპებზე იყო დაფუძნებული.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები აღქმულია სასკოლო საზოგადოების ერთობლივ, შემოქმედებით გადაწყვეტილებად. დოკუმენტების შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილი იყო დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, ხოლო შემუშავებული პროდუქტის მათთან გაზიარება სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურებოდა. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარდა სასკოლო საზოგადოებისთვის და უზრუნველყოფილ იქნა მისი საჯაროობა ყველა დაინტერესებული პირისთვის სკოლის ოფიციალურ გვერდზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარდა სასკოლო საზოგადოებისთვის და უზრუნველყოფილ იქნა მისი საჯაროობა ყველა დაინტერესებული პირისთვის სკოლის ოფიციალურ გვერდზე. ასევე სკოლის დირექციასთან ინტრვიურებით - მომდევნო სასწავლო წელს გამოიკვრება სასკოლო სივრცეში სკოლაში შემომსვლელი პირებისთვის.
ინდიკატორი შესაბამისობაშია**.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს--„საქართველოს საპატრიარქოს ქუთაისის წმინდა მეფე ბაგრატ III სახელობის სკოლა”.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ბრძანება #1 სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

სკოლამ წარმოადგინა ჩარჩო დოკუმენტი - სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგია, რომელიც პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნებს. დოკუმენტი — „მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია" — წარმოადგენს სისტემურ, შინაარსობრივად სრულ და სტრუქტურირებულ დოკუმენტს, რომელშიც ცალსახად არის განსაზღვრული დაგეგმვის ძირითადი ეტაპები, პროცესზე პასუხისმგებელი პირები და ჩართული მხარეები. სტრატეგიული დაგეგმვა აგებულია თანამონაწილეობის პრინციპზე და ხორციელდება სასკოლო საზოგადოების — ადმინისტრაციის, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების — აქტიური ჩართულობით. დოკუმენტი არ შემოიფარგლება მხოლოდ დეკლარაციული ჩანაწერებით, არამედ ადგენს კონკრეტულ, ოპერაციულ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების რეალური გათვალისწინებას მომდევნო წლებში. სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის წინ დირექტორი ჩამოაყალიბებს სამუშაო ჯგუფს, რომელშიც წარმოდგენილი იქნება სასკოლო საზოგადოების წევრები, რაც ჩართულობას სტრუქტურულ და არა შემთხვევით ხასიათს ანიჭებს. პროცესი დაიწყება ინფორმაციის სისტემური შეგროვებით სასკოლო საზოგადოების წევრებისგან, სტატისტიკური მონაცემების ანალიზითა და კვლევებით, რაც გადაწყვეტილებებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულს ხდის. შემუშავებული გეგმების პროექტები საჯარო განხილვისთვის გაუზიარდება საზოგადოებას ელექტრონული ფოსტის, სოციალური მედიისა და სხვა არხების მეშვეობით, ხოლო მიღებული უკუკავშირის განხილვა და გათვალისწინება სავალდებულოდ გახდება დოკუმენტის საბოლოო დამტკიცებამდე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით — „სტრატეგიული განვითარების გეგმა 2026-2033" დასტურდება, რომ გეგმა სრულად შეესაბამება ინდიკატორის ყველა კომპონენტს. დოკუმენტი არის შვიდწლიანი, ციკლური ხასიათისა და დაფუძნებულია სკოლის ფილოსოფიაზე (მისია, ხედვა, ღირებულებები). ციკლურობა, უზრუნველყოფილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმით: იგი ითვალისწინებს ყოველწლიურ მონიტორინგს, თვითშეფასების განახლებას. სტრატეგიის

დანერგვის მე-3 წელს ხდება მისიისა და ძირითადი მიზნების მიღწევის ხარისხის შუალედური შეფასება, რაც გეგმას ანიჭებს თვითგანახლებად, ციკლურობას.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი (2026-2027 წწ.) და შინაარსობრივად სრულად ეფუძნება სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას. დოკუმენტში სტრატეგიული მიზნები დაყოფილია კონკრეტულ ამოცანებად და აქტივობებად. გეგმაში ასახული აქტივობები მაგალითად, საკუთარი შესაძლებლობებისა და გარემოს შესწავლას (ყოველწლიური SWOT ანალიზი)", რაც მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დაგეგმვაზე მიუთითებს. რომ სკოლა გეგმავს საქმიანობას თვითშეფასების შედეგების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს გეგმის რელევანტურობას არსებულ გამოწვევებთან.
სკოლას ეძლევა რჩევა სამოქმედო გეგმის დახვეწისთვის კერძოდ - გაზომვადი ინდიკატორების დამატებით, სტრატეგიული მიზნებთან აქტივობების ცალსახა მიბმითა და რესურსების კომპონენტის ასახვით, მას ავტორიზაციის სტანდარტებთან კიდევ უფრო სრულ შესაბამისობაში მოიყვანს.
ინდიკატრო შესასაბამისობაშია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა შეიცავს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამის აქტივობებს, ის აგებულია ოთხ სტრატეგიულ მიმართულებაზე, რომელთა ქვეშ გაწერილია კონკრეტული, განხორციელებადი აქტივობები. მაგალითად, პედაგოგების პროფესიული ზრდის მიმართულებით დაგეგმილია „პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენა (შეფასება)", რაც ცალსახად უკავშირდება სტრატეგიული გეგმის შესაბამის მიზანს. ასევე დაცულია რეალისტური ვადების კომპონენტი — თითოეულ აქტივობას მითითებული აქვს განხორციელების კონკრეტული ვადა, რომელიც დროში ლოგიკურადაა გადანაწილებული. ნაწილი აქტივობებისა მიბმულია კონკრეტულ თვეებზე (მაგ., „სამუშაო ჯგუფის შექმნა" — მარტი), ხოლო უფრო მასშტაბური, მიმდინარე ხასიათის აქტივობები — მთლიან სასწავლო წელზე (მაგ., „სასკოლო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა" — 2026-2027). ვადების ეს გადანაწილება რეალისტურად ფასდება. რაც შეეხება პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები — გეგმაში ყველა აქტივობისთვის ცალსახად არის განსაზღვრული პასუხისმგებელი მხარე (მაგ., „სასკოლო კურიკულუმის განვითარებაზე" პასუხისმგებელია ხარისხის სამსახური. თუმცა ზოგადი ხასიათისაა რესურსებისა და შესრულების ინდიკატორების ნაწილი. იქიდან გამომდინარე, რომ

სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს და სკოლას მომდევნო სასწავლო წლამდე აქვს დრო, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში გაითვალისიწნოს ექსპერტთა რჩევები ავტორიზაციის სტანდარტებთან კიდევ უფრო სრულ შესაბამისობაში მოიყვანის მიზნით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით ცალსახად დასტურდება, რომ სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია სრულად მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მეთოდოლოგია არა მხოლოდ აცხადებს მონიტორინგისა და შეფასების აუცილებლობას, არამედ დეტალურად აწესრიგებს მის პროცესს, პერიოდულობას, პასუხისმგებელ პირებსა და ინსტრუმენტებს. ის ადგენს მონიტორინგის ცალსახა პერიოდულობას, რაც მას ციკლურ და სისტემურ ხასიათს ანიჭებს. სამოქმედო (ერთწლიანი) გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ — იანვარსა და ივნისში, ხოლო შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა — მისი მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუა ეტაპსა და ბოლოს. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის რეგულარულ კონტროლს.

პასუხისმგებლობის განაწილებაც ცალსახად არის გაწერილი: მონიტორინგისა და შეფასების პროცესს კოორდინაციას გაუწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, ხოლო ცალკეული აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ანგარიშები და დამადასტურებელი მტკიცებულებები, რაც ქმნის ანგარიშვალდებულების მკაფიო ჯაჭვს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

სკოლის მიერ წარმოდგენილი ჩარჩო დოკუმენტი- მეთოდოლოგია მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი განხორციელდება სისტემურად, წინასწარ განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად. დადგენილია როგორც პასუხისმგებელი სუბიექტები (სამუშაო ჯგუფი, პასუხისმგებელი პირები), ასევე მონიტორინგის ფორმები — წერილობითი ანგარიშები, შედეგების ანალიზი და აქტივობების სტატუსების მინიჭება. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს შესრულების შეფასების სტრუქტურირებულ და თანმიმდევრულ პროცესს. დოკუმენტი ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობასაც, რომელიც გაწერილია ინფორმაციის შეგროვების ეტაპზე გამოკითხვების, ინტერვიუებისა და უკუკავშირის მიღების მექანიზმები, აგრეთვე დოკუმენტების განხილვა და გაზიარება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან. ანგარიშები საჯაროა და ხელმისაწვდომია, რაც ხელს შეუწყობს უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ექსპერთა გუნდი დავეყრდნობით მეთოდოლოგიაში გაწერილ სკოლის ხედვას აღნიშნული ინდიკატორი შეფასების დროს. დოკუმენტი ცალსახად ადგენს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშების საჯაროობას, განსაზღვრავს მათ პერიოდულობასა და გაზიარების მრავალფეროვან არხებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორი მეთოდოლოგიის დონეზე სრულად დაკმაყოფილებულია — დოკუმენტი ცალსახად ადგენს, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება როგორც სტატეგიული, ასევე სამოქმედო გეგმების კორექტირებისა და სკოლის შემდგომი განვითარებისთვის და ითვალისწინებს უკუკავშირის სრულ ციკლს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის ფილოსოფიის, მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

სკოლამ წარმოადგინა პერსონალის ფუნქციების დებულება, რომლითაც ჩანს რომ დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და ცალკეული პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.დოკუმენტი მოიცავს სკოლის მართვის ყველა დონეს და ასახავს ორგანიზაციის სრულ სტრუქტურას. მაგალითად, აღწერილია ხარისხის მართვის სამსახურის, საქმისმწარმოებლის, ბუღალტრის, იურისტის, ფსიქოლოგის, შრომისა და უსაფრთხოების სპეციალისტების, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის, IT და სამეურნეო პერსონალის მოვალეობები. თითოეული თანამდებობისთვის ფუნქციები

გადანაწილებულია ცალკეული მუხლებითა და კონკრეტული პუნქტებით, რაც უზრუნველყოფს მათ სიცხადესა და ერთმნიშვნელოვან აღქმას. დოკუმენტში მკაფიოდ ჩანს დაქვემდებარების იერარქია, კომპეტენციის ფარგლები და ანგარიშვალდებულების მექანიზმები. გარდა ძირითადი ფუნქციებისა, განსაზღვრულია დოკუმენტბრუნვის წესები, მონიტორინგის პროცედურები და პროფესიული ეთიკის ნორმები, რაც ამცირებს ფუნქციათა ორაზროვანი ინტერპრეტაციის რისკს და ხელს უწყობს დაწესებულების გამართულ ფუნქციონირებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სკოლის მიერ წარმოდგენილი ჩარჩო დოკუმენტით-პერსონალის ფუნქციების შესახებ, დოკუმენტში სტრუქტურულ ერთეულებსა და პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ლოგიკურად და მიზანმიმართულადაა მოწყობილი და უშუალოდ მოემსახურება საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას. მაგალითად, დირექტორის მოადგილე (სასწავლო პროცესის კოორდინატორი) უშუალოდ პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის ხარისხზე, მასწავლებელთა საქმიანობის კოორდინაციასა და მონიტორინგზე, ხოლო დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის (ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, IT და უსაფრთხოების სპეციალისტები, ფსიქოლოგი, ექთანი) ფუნქციები გამიზნულია სასწავლო პროცესისთვის უსაფრთხო, ჯანსაღი და ორგანიზებული გარემოს შესაქმნელად. ეს განაწილება ქმნის უწყვეტ მმართველობით ჯაჭვს, რომელშიც გადაწყვეტილებები ეფექტიანად გადადის სტრატეგიული დონიდან სასწავლო პრაქტიკამდე.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- პერსონალის ფუნქციების დოკუმენტი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი „ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა",რომლის მიხედვითაც პერსონალის მართვის პროცესები განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. დოკუმენტის ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის მართვის სისტემური პოლიტიკა, რომელიც პირდაპირ ეყრდნობა მოქმედ საკანონმდებლო ბაზას. კერძოდ, დოკუმენტი დაფუძნებულია საქართველოს შრომის კოდექსზე, კანონზე „ზოგადი განათლების შესახებ" და საქართველოს განათლების სამინისტროს შესაბამის ბრძანებებზე, რაც უზრუნველყოფს პერსონალთან დაკავშირებული ყველა პროცედურის კანონშესაბამისობას. ამასთან, პოლიტიკა განსაზღვრავს დაწესებულების შიდა, დამატებით პირობებსა და სტანდარტებს, რომლებიც ავსებს საკანონმდებლო მოთხოვნებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლის მიერ წარმოდგენილი ,,ადამიანური რესურსების მართის პოლიტიკის დოკუმენტში“ ჩანს, რომ სკოლას გააჩნია საჭიროებებზე დაფუძნებული, პრევენციული და ინტერვენციული ელემენტების შემცველი პერსონალის მართვის პოლიტიკა. მაგალითად, პრევენციული მიმართულებით, პოლიტიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პრობლემების წარმოქმნის თავიდან აცილებას. ეს გამოიხატება პროფესიული განვითარებისა და ტრენინგების უწყვეტ, მუდმივ პროცესში, რომელიც სთავაზობს თანამშრომლებს განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, მათ შორის შიდა ნორმებსა და რეგულაციებთან დაკავშირებულ სწავლებას. პრევენციულ ხასიათს ატარებს ახალი თანამშრომლის ადაპტაციისა და სოციალიზაციის პროცესიც, რომელიც მოიცავს გაცნობით შეხვედრებსა და მენტორის გამოყოფას, რაც უზრუნველყოფს თანამშრომლის მიერ საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულფასოვან რეალიზებას. ინტერვენციული მიმართულებით, პოლიტიკა ითვალისწინებს პრობლემებზე დროულ რეაგირებასა და მხარდაჭერას. ამ თვალსაზრისით მოიაზრება შეფასება, როგორც განვითარებაზე ორიენტირებული კონსტრუქციული უკუკავშირის, გამოყენება. პოლიტიკა ასევე განსაზღვრავს დისციპლინური სასჯელისა და წახალისების პროცესებს, ხოლო შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლები (მათ შორის ხელშეკრულების პირობების დარღვევა ან არაკვალიფიციურობის დადასტურება) წარმოადგენს კრიტიკულ სიტუაციებში რეაგირების მკაფიო მექანიზმს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტით შერჩევის მთელი პროცესი ეფუძნება ორ ფუნდამენტურ პრინციპს — ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას განაპირობებს მკაფიოდ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. მოთხოვნები დეტალურად არის გაწერილი საფეხურების, საგნებისა და მასწავლებლის სტატუსის მიხედვით, რაც უზრუნველყოფს, რომ თითოეულ პოზიციაზე შეირჩეს სათანადო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე კადრი. დოკუმენტში ჩანს, რომ კადრების მოზიდვის პროცესი მოქნილი და ამავე დროს გამჭვირვალეა. ვაკანსიის შევსება პირველ რიგში მოხდება შიდა კონკურსის გზით, რომლის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სკოლის საინფორმაციო დაფაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ცხადდება ღია კონკურსი დირექტორის ბრძანებით, ინფორმაცია კი განთავსდება სპეციალიზებულ ვებგვერდზე (teacherjobs.ge) და, დამატებით, სკოლის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებსა და ბეჭდვით ორგანოებში, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ფართო ხელმისაწვდომობას. შერჩევის ობიექტურობის გარანტს წარმოადგენს საკონკურსო კომისია, რომელიც შედგება არანაკლებ ხუთი წევრისგან და მოიცავს სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებს — მოწვეულ სპეციალისტს, სამინისტროს, რესურსცენტრის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისა და პროფკავშირის წარმომადგენლებს. კომისიის ფუნქციაა კანდიდატების შეფასება წარდგენილი დოკუმენტების, გამოცდილებისა და გასაუბრების საფუძველზე, საუკეთესო კანდიდატის შერჩევა და დირექტორისთვის წარდგენა. კონკურსი მიმდინარეობს მკაფიო ეტაპებით — განცხადებების გადარჩევა, გასაუბრება და შედეგების განსაზღვრა. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას გაგზავნილი ჰქონდა შუამდგომლობის წერილი „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის" მიმართ, რომლითაც ითხოვდა teacherjobs.ge-ზე წვდომის დაშვებას.

ინიდიკატორი შესაბამისობაშია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ წარმოგვიდგინა მასწავლებელთა გუნდი, რომელთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკება ახალი სასწავლო წლისთვის მათი დასაქმების შესახებ. სკოლის პოზიციიდან ჩანდა, რომ აღნიშნული გუნდი მუშაობას სკოლაში ავტორიზაციის მიღების შემდეგ დაიწყებდა. მათი კვალიფიკაცია შეესაბამებოდა კანონმდებლობას. იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა გადიოდა პირველად ავტორიზაციას, ინდიკატორი შესაძლებელია ჩაითვალოს შესაბამისობაში.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

წარმოდგენილი დოკუმენტი „ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა" ცხადყოფს, რომ სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. დოკუმენტის ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლის ორგანიზაციული ღირებულებები პირდაპირ მოიცავს მონაწილეობის პრინციპს, რომელიც გულისხმობს პერსონალის სრულ ჩართულობას სამუშაოს შეფასებისა და მართვის პროცესებში. ღირებულებათა სისტემა ასევე ეფუძნება სამართლიანობას, გამჭვირვალობასა და თანამშრომლობაზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, რაც ქმნის მონაწილეობითი მართვის საფუძველს. გუნდური მუშაობის პრინციპი განსაკუთრებით ვლინდება პროფესიული განვითარებისა და შეფასების მიმართულებით. დოკუმენტი პირდაპირ აღნიშნავს, რომ შეფასება და უკუკავშირი ეფუძნება კოლეგების მხარდაჭერასა და გუნდურ მუშაობას, ხოლო სასკოლო საზოგადოების ურთიერთნდობა განისაზღვრება, როგორც განვითარების უპირობო საფუძველი. თავად პროფესიული განვითარებაც აღწერილია, როგორც ხანგრძლივი თანამშრომლობითი პროცესი, რაც ხაზს უსვამს ერთობლივ, გუნდურ მიდგომას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი „ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა" ცხადყოფს, რომ სკოლას გააჩნია თანამშრომელთა წარმატებისა და მიღწევების აღიარების ცალკეული მექანიზმები. დოკუმენტში ჩანს, რომ სკოლაში დანერგილია თანამშრომელთა წახალისებისა და მოტივაციის მკაფიო სისტემა. კერძოდ, პოლიტიკა ითვალისწინებს მოტივაციისა და დაჯილდოების მრავალფეროვან ფორმებს — მადლობის გამოცხადებას, სიგელით დაჯილდოებას, ფასიან საჩუქარსა და ერთჯერად ფულად პრემიას. ამასთან, პოლიტიკა მიზნად ისახავს პატივისცემისა და აღიარების ატმოსფეროს შექმნას, რაც წარმატებული თანამშრომლების მიღწევების აღიარების საფუძველს ქმნის. ეს ელემენტები ცხადყოფს, რომ სკოლა ორიენტირებულია თანამშრომელთა წარმატების დაფასებასა და აღიარებაზე. რაც შეეხება წარმატებული გამოცდილების გაზიარების მიმართულებას, დოკუმენტი ეყრდნობა ზოგად პრინციპებს — გუნდურ მუშაობას, კოლაბორაციულ კვლევა-ძიებასა და კოლეგების ურთიერთმხარდაჭერას, ასევე ახალი თანამშრომლისთვის მენტორის გამოყოფის პრაქტიკას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ,,ადამიანური რესუსრების მართის პოლიტიკა“;
- სკოლის შინაგანაწესი;
- წერილობითი შუამდგომლობა ,Teacherjobs.ge” წვდომაზე დაშვების შესახებ.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება
3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ცხადყოფს, რომ სკოლას გააჩნია დოკუმენტურად გამართული და პრინციპებზე დაფუძნებული პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც ლოგიკურად უკავშირდება პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენას. პოლიტიკა შეფასების პროცესს განიხილავს არა როგორც კონტროლის, არამედ როგორც განვითარების ინსტრუმენტს. დოკუმენტის თანახმად, დაწესებულება სისტემატურად შეაფასებს პერსონალის მიერ შესრულებულ სამუშაოს, რათა მოახდინოს თანამშრომელთა ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირება. შეფასების სისტემა ეფუძნება ზრდასრულთა სწავლების კონცეფციას, პატივისცემის, აქტიური მონაწილეობის, გამოცდილებაზე დაყრდნობისა და „სწავლა მოქმედებისთვის “პრინციპებს. გამოყენებული მეთოდები

— თვითშეფასება, გასაუბრება და სამუშაო სტანდარტებთან შედარება უზრუნველყოფს პროცესის მრავალმხრივობასა და ობიექტურობას. პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის კუთხით, დოკუმენტი უზრუნველყოფს პირდაპირ და ლოგიკურ კავშირს შეფასებასა და განვითარებას შორის: განვითარების საჭიროებები დგინდება სწორედ შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე. ამასთან, საჭიროებების იდენტიფიცირების დამატებით წყაროებად გამოიყენება პერსონალის საჭიროებათა კვლევა და თანამშრომელთაგან წამოსული ინიციატივები.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლის მიერ წარმოდგენილი მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია პირველ აქტივობად სწორედ პერსონალის პროფესიული საჭიროების დადგენა წარმოადგენს, გეგმა მოიცავს განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების მთელ სპექტრს:

- ტრენინგები, სემინარები და სამუშაო შეხვედრები (მათ შორის კურიკულუმის შედგენაზე — ნოემბერი/თებერვალი);
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში აქტივობების განხორციელება და მუდმივი მონიტორინგი;
- გამოცდილების გაზიარება და თანამედროვე მეთოდოლოგიებზე რეკომენდაციების შემუშავება.

იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა ავტორიზაციას პირველად გადის, ამ ეტაპზე პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების შეფასება ვერ განხორციელდა. მიუხედავად ამისა, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ზოგადი მონახაზის სახით უკვე ასახულია გარკვეული ჩარჩო, რომელიც სკოლას საშუალებას აძლევს, მომდევნო სასწავლო წლისთვის, გამოვლენილ საჭიროებებზე დაყრდნობით, შეიმუშაოს პერსონალის განვითარების კონკრეტული და მიზნობრივი გეგმა.

ინიდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

დაწესებულების ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლა მიზანმიმართულად ხელს შეუწყობს ხელს პერსონალის კარიერულ ზრდას როგორც ნორმატიულ, ისე პრაქტიკულ დონეზე. პოლიტიკის თანახმად, კარიერული წინსვლა ეფუძნება ნებაყოფლობითობის, თანასწორობისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპებს. იგი

დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილსა და მისწრაფებაზე და თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლისთვის. ეს მიდგომა გამყარებულია პოლიტიკის ზოგადი პრინციპებით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლამ წარმოადგინა ,,პერსონალის ადაპტაციის წესის", რომელიც ცხადყოფს, რომ სკოლას გააჩნია სისტემური, ეტაპობრივი და როლებზე დაფუძნებული მიდგომა თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს ადაპტაციის პროცესის მიზანს — ახალი თანამშრომლის სწრაფი და შეუფერხებელი ინტეგრაცია სამუშაო გარემოსა და თანამდებობასთან, მისი სოციალიზაცია, მოლოდინების მართვა, შფოთვისა და სტრესის შემცირება და, საბოლოო ჯამში, პროდუქტიულობის ზრდა. ეს მიდგომა ცხადყოფს, რომ სკოლა ინტეგრაციას განიხილავს არა ფორმალურ, არამედ თანამშრომელზე ორიენტირებულ, მხარდამჭერ პროცესად. პროცესი მოიცავს მკაფიო ვადებს, პასუხისმგებელ პირებს, დამხმარე დოკუმენტაციასა და უკუკავშირზე დაფუძნებულ შეფასების მექანიზმს, რაც სისტემურ და მდგრად მიდგომაზე მიუთითებს. დანერგვის ხარისხის საბოლოო დადასტურება უზრუნველყოფილი იქნება ადაპტაციის პროცესის ფაქტობრივი მტკიცებულებების (შევსებული ფორმებისა და კითხვარების) ეტაპობრივად დაგროვებით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლა მიზანმიმართულად ქმნის გარემოს, რომელშიც პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები აქტიურად იქნება წახალისებული. პოლიტიკის თანახმად, განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები შეიძლება წამოვიდეს როგორც დაწესებულების მიერ ჩატარებული საჭიროებების კვლევის შედეგად, ისე უშუალოდ თავად პერსონალის მხრიდან. ეს მიდგომა ცხადყოფს, რომ სკოლა თანამშრომლებს განიხილავს არა როგორც პასიურ მონაწილეებს, არამედ როგორც საკუთარი პროფესიული განვითარების აქტიურ ინიციატორებს, რაც ხელს უწყობს ინიციატივიანობისა და მუდმივი პროფესიული ზრდის კულტურის ჩამოყალიბებას. ინიციატივების წახალისება პოლიტიკაში გამყარებულია კონკრეტული აღიარების ფორმებით. კერძოდ, განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისას სკოლა იყენებს სიტყვიერ მადლობასა და მადლობის სიგელს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი „განათლების ხარისხის მართვის პოლიტიკა", რომელშიც სკოლას აქვს ფორმალიზებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. კერძოდ - საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას — პროცესები დაყოფილია მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად, თითოეული დოკუმენტირებულია (მიზნები, ქვეპროცესები, პასუხისმგებელი პირები და პროცესის დიაგრამა) და მტკიცდება მმართველი დირექტორის აქტით.

მართვა ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს, რომელიც წარმოდგენილია სრული თანმიმდევრობით: დაგეგმვა (რისკების შეფასება, წლიური სამოქმედო გეგმა) → განხორციელება → შემოწმება (გეგმიური/არაგეგმიური, ინტერვიუ, გაკვეთილზე დასწრება) → გაუმჯობესება (დასკვნა, რეკომენდაცია, უკუკავშირი და შესრულების მონიტორინგი). პასუხისმგებლობა მკაფიოდაა განაწილებული ხარისხის მართვის სამსახურსა და მმართველ დირექტორზე, დადგენილია კონკრეტული ვადებიც.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლის ,,ხარისხსი უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტი ცხადად და სისტემურად აიდენტიფიცირებს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ პროცესებს და ანაწილებს მათ სამ კატეგორიად:

- მმართველობითი პროცესები: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა.
- ძირითადი პროცესები: კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა.
- დამხმარე პროცესები: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისები, საბიბლიოთეკო სერვისები, ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოება და წესრიგი, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება და კარიერული განვითარება.

თითოეული პროცესი დოკუმენტირებულია ერთიანი სტრუქტურით, რომელიც მოიცავს: დასახელებას, მიზანსა და შედეგს, ქვეპროცესებს, მონაწილე ერთეულებს/პირებს, პასუხისმგებელ ერთეულს და პროცესის დიაგრამას. პროცესებს შეიმუშავებს პასუხისმგებელი ერთეული ხარისხის მართვის სამსახურთან კოორდინაციით და ამტკიცებს მმართველი დირექტორი სამართლებრივი აქტით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი" სრულ და ფუნქციურ სისტემას ადგენს მოცემული ინდიკატორის შესაბამისად. დოკუმენტში განსაზღვრულია საჩივრის შეტანის მკაფიო წესი (წერილობითი ფორმა, სავალდებულო რეკვიზიტები, წარდგენის სამი არხი — პირადად, ფოსტით, ელფოსტით) და განხილვის პროცედურა ობიექტურობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებით, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მექანიზმით ასევე დადგენილია კონკრეტული ვადები პასუხისმგებელი ერთეულები/ადამიანები; კანონმდებლობის შესაბამისად. უზრუნველყოფილია უკუკავშირი — დასაბუთებული პასუხის გაცემა და გასაჩივრების წესის მითითება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლამ წარმოადგინა ,,მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისა და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის მექანზიმები", რომელიც ცხადად და კონკრეტულად განსაზღვრავს როგორც პერსონალის, ისე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერ უფლებებს და მათი დაცვის ფუნქციურ მექანიზმებს. დოკუმენტი მოიცავს ფართო სპექტრს: აზრის გამოხატვისა და რელიგიის თავისუფლება, პერსონალურ მონაცემთა კონფიდენციალურობა, ინფორმაციის მიღების უფლება, არასათანადო მოპყრობისგან დაცვა, ხოლო პერსონალისთვის დამატებით — შრომითი უფლებები (უსაფრთხო გარემო, ანაზღაურება, შვებულება) და დისციპლინური დევნისას დუმილის უფლება. ასევე მრავალდონიანი დაცვის მექანიზმებს, მაგალითად სტრუქტურული (შინაგანაწესი, დისციპლინური კომიტეტი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, კლასის დამრიგებელი, ექიმი) და პროცედურული — უფლების დარღვევაზე რეაგირება ხდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საჩივრის განხილვის წესით. გათვალისწინებულია აგრეთვე გარე დაცვის არხები — სასამართლოსთვის მიმართვა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით და სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდთან დაკავშირება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხარისიხს პოლიტიკის დოკუმენტი;
- მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის მექანზიმი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სკოლამ წარმოადგინა სკოლის მრავალარხიანი სისტემა, რომელიც გაწერილია, როგორც ,,სკოლის დებულებაში“ ასევე ,,მშობელთან ურთიერთობის წესში“. დოკუმენტებში განხილულია — სკოლის ვებგვერდი, Facebook-გვერდი, ელექტრონული ჟურნალი, განცხადებების დაფა, მშობელთა კრებები, მშობლის საათი/დღე და კლასის დამრიგებლის მეშვეობით პირდაპირი კომუნიკაცია. უკუკავშირის მიღება კი ხორციელდება მოსწავლეთა, მშობელთა და პერსონალის გამოკითხვები/ანკეტირება, HR-ის მიერ თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა, მშობელთა კრებებზე ნებისმიერი საკითხის დასმის უფლება და მოსწავლეთა უფლება წარადგინონ წინადადებები/შენიშვნები, ხოლო რეაგირების მექანიზმებად სკოლა განიხილავს შესაბამის ზომებს. მაგალითად, მასწავლებელი ვალდებულია დაუკავშირდეს მშობელს და განიხილოს კონკრეტულად დასმული საკითხები.. კომუნიკაციისთვის დადგენილია კონკრეტული ვადები (სავალდებულო შეხვედრები წლის დასაწყისში და ყოველი სემესტრის ბოლოს) და პასუხისმგებელი პირები (დამრიგებელი, საგნის მასწავლებელი, ადმინისტრაცია, დირექტორის მოადგილე, HR.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლამ წარმოადგინა ,,პედაგოგიური საბჭოს დებულება“ და ,,კათედრის დებულება“ . ორივე დოკუმენტი ადასტურებს მართვის პროცესებში ჩართულობის პერსექტივას. მაგალითად,საგნობრივი კათედრები (4 კათედრა) უზრუნველყოფს მასწავლებელთა ჩართულობას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რესურსების შერჩევაში, თანასწორობის, ხმის უფლებისა და ინიციატივების დაფიქსირების პრინციპებით. ანალოგიურად პედაგოგიური საბჭო მიიღებს არსებით გადაწყვეტილებებს (კურიკულუმი, შინაგანაწესი, სკოლის ფილოსოფია, სამუშაო გეგმა, სახელმძღვანელოების ნუსხა), თავად ირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს, ადგენს კვორუმისა და გადაწყვეტილების მიღების წესებს და აფორმებს სხდომებს ოქმებით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- სკოლის სტრუქტურა;
- პედაგოგიური საბჭოს დებულება;
- კათედრის დებულება.

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

სკოლა ხელმძღვანელობს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ (ბრძანება :#3) შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა სტრუქტურული გრაფიკა, რომელშიც გათვალისწინებულია უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმეგებელი პირის პოზიცია, სკოლას აქვს სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა, რომელიც ადასტურებს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობას, ამასთან, მიღებული აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნა, რომელიც ანალოგიურად ადასტურებს სტანდარტთან შესაბამისობას. სკოლას არ აქვს შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ვიზუალური დათვალიერებისას სკოლის შენობა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იყო. ღობის მთლიანობა არ არის დარღვეული. სასკოლო დოკუმენტაციაში გაწერილი რეგულაციებით, შინაგანაწესით და პასუხისმგებლობის გადანაწილებით სკოლის ტერიტორიაზე დაცულია ნებისმიერი პირის ფიზიკური უსაფრთხოება. სკოლა აღჭურვილია ვიდეო-სათვალთვალო კამერებით, როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრზე. ამასთან, კონტროლდება სკოლის შენობაში გარეშე პირთა შემოსვლა. სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი.

სკოლის შენობის დათვალიერებისას გამოიკვეთა ხარვეზი უსაფრთხოების ნორმების დაცვის კუთხით: კერძოდ,

- სპორტულ დარბაზში განთავსებული ფანჯრები არ არის აღჭურვილი დამცავი ბადეებით ან სხვა უსაფრთხოების მექანიზმებით. აღნიშნული ქმნის გაუთვალისიწნებელ შემთხვევების ალბათობას (მაგ. ბურთის მოხვედრის) შედეგად შუშის მსხვრევისა და მოსწავლეთა დაზიანების რისკებს.
- სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

დასკვნის პროექტის წარდგენის ეტაპზე აღნიშნული ხარვეზები ეცნობა სკოლას, რომელმაც უზრუნველყო მათი სრული

აღმოფხვრა; შედეგად,

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტებით, გარდა მოძრავის ტიხრისა(შირმა).ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა ექიმი, თუმცა წარმოადგინა ექთნის შესაძლო კანდიდატურა. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სამედიცინო დახმარების წესი“, (ბრძანება #3).

- სკოლას არ ჰყავდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი და არც კანდიდატი მომავალში თანამშრომლობის შესაძლო შეთანხმების პერსპექტივით;

- სამედიცინო კაბინეტში არ არის მოძრავი ტიხარი, რის შედეგადაც ვერ მოხდება მოსწავლისთვის იზოლირებული და უსაფრთხო გარემოს შექმნა.

დასკვნის პროექტის წარდგენის ეტაპზე აღნიშნული ხარვეზები ეცნობა სკოლას, რომელმაც უზრუნველყო მათი სრული აღმოფხვრა; შედეგად,

ინიდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები გათვალისიწნებულია სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურის აღმწერ დოკუმენტებში. მას გათვალისიწნებული აქვს საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი პირის ყოლა სკოლაში, ასევე შენობის პერიმეტრი სრულად კონტროლდება ვიდეომონიტორინგის სისტემით. უსაფრთხოების პროცესების სამართლებრივ მოწესრიგებას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით (#3), დეტალურადაა გაწერილი საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები და ვალდებულებები და პროცესები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ქუთაისის წმინდა მეფე ბაგრატ III სახელობის სკოლის ფსიქოლოგის დებულება წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც უშუალოდ ეხმიანება ზემოაღნიშნულ ინდიკატორს და ქმნის ინსტიტუციურ საფუძველს მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. დებულება იწყება იმ რეალური გამოწვევების აღიარებით, რომელთა წინაშეც შესაძლოა იდგნენ როგორც მოსწავლეები, ისე მასწავლებლები — ემოციებთან გამკლავების სირთულე, კონფლიქტური სიტუაციები, მოტივაციის დაქვეითება — და სწორედ ამ პრობლემების საპასუხოდ განსაზღვრავს ფსიქოლოგის, როგორც აუცილებელი მხარდამჭერი რგოლის, როლს სასკოლო სივრცეში. დოკუმენტი ნათლად ასახავს, რომ ფსიქოლოგის საქმიანობა მიმართულია მოსწავლეთა მენტალური ჯანმრთელობის, სწავლისა და ქცევის სისტემურ მონიტორინგზე, რაც ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნის წინაპირობაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დებულება ცალკე გამოყოფს „დაცული, პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნას" და ფსიქოლოგს პირდაპირ აკისრებს ბულინგისა და ძალადობის სხვა ფორმების პრევენციის ვალდებულებას. დებულება ასევე აღწერს პოზიტიური ქცევისა და ფსიქიკური

ჯანმრთელობის გაუმჯობესების კონკრეტულ მიდგომებს: მოსწავლეთა კომუნიკაციური და სოციალური უნარების განვითარებას, ემოციური და ქცევითი საჭიროებების გამოვლენას, ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს, ბრაზის

მართვისა და კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის უნარების ჩამოყალიბებას. ამგვარად, დოკუმენტი არა მხოლოდ დეკლარაციული ხასიათისაა, არამედ ასახავს ემოციური მხარდაჭერის ფუნქციურ ინსტრუმენტებს. დამატებით ღირებულებას ქმნის ის, რომ დებულება ითვალისწინებს ოჯახსა და სკოლას შორის ძლიერი კავშირის ჩამოყალიბებას, მშობელთა ინფორმირებასა და ერთობლივი ჩარევის სტრატეგიის დაგეგმვას, ასევე განსხვავებული საჭიროებების მქონე მოსწავლეთა — მათ შორის სსსმ მოსწავლეთა — მხარდაჭერას ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით. ეს მიდგომა უსაფრთხო გარემოს ცნებას თანასწორობისა და ინკლუზიის განზომილებითაც ავსებს. დებულება ხაზს უსვამს ფსიქოლოგის პროფესიულ ეთიკასა და უწყვეტ განვითარებას, რაც მომსახურების ხარისხისა და მდგრადობის გარანტია, ასევე სკოლის სტრუქტურაში გათვალისიწნებულია ფსიქოლოგის თანამდებობა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია. სკოლის ყველა სართულზე გათავსებულ საპირფარეშოებში (ცალკე გოგონებისთვის და ცალკე ბიჭებისთვის) დაცული იყო ყველა ჰიგიენური ნორმა. სარეცხი და დასასუფთავებელი ქიმიებისთვის გამოყოფილი აქვთ ცალკე ოთახი, სკოლამ წარმოადგინა დამლაგებლის კანდიდატურა, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს შრომითი ურთიერთობა სკოლასთან ავტორიზაციის მიღების შემდეგ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლაში შემუშავებულია და დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი. დოკუმენტი დეტალურად არეგულირებს მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებს (კანონიერება, მიზნობრიობა, პროპორციულობა, მონაცემთა სიზუსტე და უსაფრთხოება) და მოიცავს როგორც დასაქმებულთა, ასევე მოსწავლეთა და სხვა დაინტერესებული პირების მონაცემთა დამუშავების სრულ ციკლს. განსაზღვრულია მონაცემთა კატეგორიები, დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და კანონიერებას. სკოლაში დანერგილია როგორც ორგანიზაციული, ისე ტექნიკური დაცვის მექანიზმები: შეზღუდულია მონაცემებზე წვდომა კომპეტენციის მიხედვით, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, მონაცემთა შენახვის ვადები და მათი განადგურების/დაბლოკვის წესები. ამასთან, სკოლაში განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, რომლის ფუნქციაა მონაცემთა დამუშავების პროცესების მონიტორინგი, კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, პერსონალის კონსულტირება და მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვის ხელშეწყობა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები, რომელთა ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი და IT სპეციალისტი. სკოლას წარმოადგინა კანდიდატურა ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირი და გაწერილი აქვს შესაბამისი მართვის პროცედურები, რომლებშიც მითითებულია ამ პირის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა ჩამონათვალი.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ექსპერტთა გუნდი ეყრდნობა მხოლოდ სკოლის მიერ წარმოდგენილ ჩარჩოსა და შესაძლოა კითხვარის ვარიანტს. მაგალითად, სკოლის მიერ წარმოდგენილ კითხვარში გვხვდება ისეთი პრაქტიკული ხასიათის შეკითხვები, რომელთა პასუხებზე დაყრდნობითაც სკოლას მომდევნო წლებში უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესების საშუალება მიეცემა.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;
- ფსიქოლოგის დებულება;
- ექსპლუატაციის დასკვნა;
- სახანძროს დასკვნა;
- სამედიცინო დახმარების წესი;
- ადამიანებისა და პროცესების შესახებ უსაფრთხოების დასკვნა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა
3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

სკოლა მდებარეობს 5986.00კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც განთავსებულია ერთი შენობა-ნაგებობა., რომელიც არის 4 სართულიანი, თუმცა ბოლო ორი სართული სკოლას გადაკეტილი აქვს და საგანმანათლებლო პროცესისთვის გამოყოფილი აქვს პირველი ორი სართული, სკოლას აქვს 12 საკლასო ოთახი, ინდივიდუალური მერხები, დაფები, მასწავლებლის მაგიდები, სკამები და სხვა საჭირო ინვენტარი და თვალსაჩინოებები. გარდა საკლასო ოთახებისა, სკოლაში ფუნქციონირებს დირექციის კაბინეტი, კანცელარია, სამედიცინო კაბინეტი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, სკოლას აქვს მუსიკალური ოთახი, სადაც გათავსებულია სხვადასხვა მუსიკალური საკრავები, გამოყოფილია აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ოთახი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომი იქნება როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეებისთვის. სკოლის მიერ სხვადასხვა სივრცეში — მაგალითად, კომპიუტერულ ლაბორატორიასა თუ ბიბლიოთეკაში — ყოფნის ქცევის წესები უზრუნველყოფს იმას, რომ სასწავლო დროის ნებისმიერ მონაკვეთში მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეეძლოთ ამ სივრცეებით სარგებლობა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის ვიზუალური დათვალიერებით აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა. დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს და თანამშრომლებს ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად, წასაკითხი მასალის შერჩევაში. ბიბლიოთეკის დოკუმენტბრუნვა მოწესრიგებულია და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს გამოყოფილი და მოწყობილი ექნებათ რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით საგანმანათლებლო გარემოს შესაქმნელად. ამასთან, სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს უნივერსალური ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვას. შენობაში სკოლას ყველა სივრცეში მისასვლელად აქვს მოძრავი პანდუსები, აღნიშნული გარემოება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის საჭირო ფიზიკურ გარემოს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

მოსწავლის საზოგადოების აქტიურ წევრად ჩამოყალიბების მიზნით, სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ისეთი გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობას, რომელიც მას ზრდასრულ ასაკში საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელთან წარმატებულ ურთიერთობაში ხელს შეუწყობს. სკოლის ინფრასტრუქტურა მოსწავლეებს საშუალებას

მისცემს, სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. შესაბამისად, სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს შეუწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ბიბლიოთეკის ინვენტარი და დოკუმენტაცია;
- ლაბორატორიების ინვენტარი და დოკუმენტაცია.

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები
3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს როგორც ადმინისტრაციული, ისე სასწავლო პროცესის ეფექტიან და თანამედროვე სტანდარტების შესაბამის წარმართვას. სკოლას აქვს 21 კომპიუტერი, 7

პრინტერი, რაც საშუალებას მისცემს როგორც მოსწავლეებს, ისე მასწავლებლებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს, საჭიროებისამებრ გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები სასწავლო და სამუშაო მიზნებისთვის. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტ კავშირით, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს სასწავლო რესურსებზე წვდომას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

სკოლის კომპიუტერები და ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომი იქნება, სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს უფლება ექნებათ გამოიყენონ კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც არსებული წესის შესაბამისად იმუშავებენ საგანმანათლებლო მიზნებისთვის, სკოლა უზრუნველყოფს მის თანაბარ ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ლაბორატორიის სარგებლობის წესები;
- კომპიურებისა და სხვა ტექნიკის ამსახველი/დამადასტურებელი დოკუმენტები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი

სკოლის საქმისწარმოების დებულებით, სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. დოკუმენტში განსაზღვრულია დოკუმენტბრუნვის, რეგისტრაციის, შენახვისა და დამუშავების პროცედურები, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პროცესების ორგანიზებულ და სისტემურ მართვას. საქმისწარმოება ხორციელდება მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნების გათვალისწინებით და უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჭვირვალობას, ხელმისაწვდომობასა და

სიზუსტეს. აღნიშნული ქმნის ეფექტიან ადმინისტრაციულ საფუძველს სკოლის მართვის პროცესების გამართულად ფუნქციონირებისთვის.
ინდიკატორი შესაბამსობაშია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლამ წარმოადგინა ,,სქულბუქთან" წარმოებული მიმოწერა, რომლითაც მზაობას გამოხატავს ორივე მხარე უზრუნველყოს სკოლის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამართულობა.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

იქიდან გამომდინარე, რომ სკოლას არ აქვს გავლილი ავტორიზაცია, ამ ეტაპზე არ აქვს წვდომა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორის შეფასება ამ ეტაპზე ვერ ხერხდება.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

იქიდან გამომდინარე, რომ სკოლას არ აქვს გავლილი ავტორიზაცია, შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორის შეფასება ამ ეტაპზე ვერ ხერხდება.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების დებულება;
- სქულბუქთან მიმოწერა;
- მატერიალური ჟურნალები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია კანონმდებლობით მოთხოვნილი ინფორმაცია, სკოლამ წარმოადგინა მიმოწერა,, სქულბუქთან", რომლითაც მომავალში უზრუნველყოფს ელექტრონული სისტემების გამართულად მუშაობას. ინფორმაციის გაცვლა, მიღება და დამუშავება ასევე ხდება სკოლის ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

იქიდან გამომდინარე, რომ სკოლას არ აქვს გავლილი ავტორიზაცია, შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორის შეფასება ამ ეტაპზე ვერ ხერხდება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

იქიდან გამომდინარე, რომ სკოლას არ აქვს გავლილი ავტორიზაცია, შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორის შეფასება ამ ეტაპზე ვერ ხერხდება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია კანონმდებლობით მოთხოვნილი ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია კანონმდებლობით მოთხოვნილი ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი;
- მიმოწერა ,,სქულბუქთან".

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

სკოლა მიზნად ისახავს ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, რათა ყველა მოსწავლეს ჰქონდეს თანაბარი წვდომა ხარისხიან განათლებაზე. ბიუჯეტის დაგეგმვისას, სკოლა ითვალისწინებს მოსალოდნელ შემოსავლებს, პრიორიტეტულ მიმართულებებს, პროგნოზირებულ ხარჯებს, წინა წლის ანალიზს და საბიუჯეტო პროცედურებს. სკოლამ წარმოადგინა ბიუჯეტის პროექტი, რომელშიც გაწერილი ხარჯები დაკავშირებულია სკოლის მომდევნო სასწავლი წლის სამოქმედო გეგმასთან.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა გადის ავტორიზაციას, ექსპერთა გუნდი იზიარებს მათ ხედვას აღნიშნული ინდიკატორის შესაფასებლად და წარმოდეგნილ პროექტს. სკოლა ყოველწლიურად შეადგენს საკუთარ ფინანსურ ანგარიშს. სკოლას ექნება ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. ფინანსური დაგეგმვის პროცესი ძირითადად პროგნოზებს დაეყრდნობა, ამდენად ცვლილებების განხორციელებაც მისი თანმდევი პროცესი იქნება. უმნიშვნელოვანესი იქნება პროცესების მონიტორინგი და მოსალოდნელ ცვლილებებზე დროული რეაგირება. აუცილებელი იქნება მონიტორინგის შედეგების ანგარიშის სახით დოკუმენტირება. სკოლის სტაბილურობის შესაფასებლად ასევე აუცილებელი იქნება პერიოდული ფინანსური ანალიზის ჩატარება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტის პროექტი;
- სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სკოლას შემუშავებული აქვს N3 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი — „მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისა და პერსონალის კანონიერი უფლების დაცვის მექანიზმები “, რომელიც სისტემურად აწესრიგებს სასკოლო საზოგადოების წევრთა უფლებების დაცვის საკითხებს და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. დოკუმენტი ცხადად განსაზღვრავს, რომ სკოლა წარმოადგენს ბავშვის ფუნდამენტური უფლების — განათლების უფლების რეალიზების სივრცეს და კისრულობს ვალდებულებას, ყოველდღიურად იზრუნოს თითოეული მოსწავლის უფლების დაცვაზე. ამ მიზნის მისაღწევად სკოლას აქვს შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმები: შინაგანაწესი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ექიმი, კლასის დამრიგებლები, სასკოლო სასწავლო გეგმა, ასევე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები, რაც უზრუნველყოფს უფლებების დაცვის სისტემურ ხასიათს. დოკუმენტი დეტალურად აღწერს მოსწავლისა და მშობლის უფლებებს — მათ შორის, აზრის თავისუფალი გამოხატვის, რელიგიური თავისუფლების ხელშეუხებლობის, არასათანადო მოპყრობისა და შეურაცხყოფისგან დაცვის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის, საგანმანათლებლო პროცესში (უცხო ენის, არჩევითი საგნების, შინ სწავლების ფორმის და ა.შ.) მონაწილეობის უფლებებს. ასევე გაწერილია მშობლის ვალდებულებები ბავშვის განათლებისა და საბაზისო საჭიროებების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტში მკაფიოდაა განსაზღვრული უფლებების დარღვევის შემთხვევაში რეაგირებისა და გასაჩივრების მექანიზმები — როგორც სკოლის შიდა დონეზე (დირექტორისადმი საჩივრის წარდგენა, დამტკიცებული განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა), ისე სასამართლოსადმი მიმართვის გზით. ეს უზრუნველყოფს უფლებების დაცვის რეალურ გარანტიებს და არა მხოლოდ დეკლარაციულ ჩანაწერს. უფლებების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სხვადასხვა არხით: შესაბამისი დოკუმენტები განთავსებულია/განთავსდება სკოლის ვებგვერდსა და საინფორმაციო დაფაზე, ხოლო ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებელი მშობლებს გააცნობს მათ უფლებებსა და შინაგანაწესს, მათ შორის შეტანილ ცვლილებებს დადგენილ ვადებში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სკოლის მიერ დამტკიცებული „მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისა და პერსონალის კანონიერი უფლების დაცვის მექანიზმების“დოკუმენტის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლას გააჩნია უფლებების დაცვის რეგულაციების

გამჭვირვალობისა და სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარების ეფექტიანი მექანიზმები. დოკუმენტი ითვალისწინებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რამდენიმე პარალელურ არხს. უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ძირითადი რეგულაციები — შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა — განთავსებულია/განთავსდება სკოლის ვებგვერდზე. შინაგანაწესი სკოლის შენობაში საინფორმაციო დაფაზე, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ და თანაბარ ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის.რაც შეეხება გამჭირვალობას სკოლა სასკოლო საზოგადოებას სთავაზობს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებელი მშობელთა კრებაზე ყველა მშობელს გააცნობს მოსწავლისა და მშობლის უფლებებს, ასევე შინაგანაწესს. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტი განსაზღვრავს არა მხოლოდ თავდაპირველ გაცნობას, არამედ შინაგანაწესში შეტანილი ცვლილებების დროულ გაზიარებასაც — ცვლილების შეტანიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის უწყვეტ განახლებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლამ წარმოადგინა მშობელთან დასადები მომსახურების ხელშეკრულების ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც თანხვედრაშია სკოლის სხვა დოკუმენტებთან. ხელშეკრულება არის მკაფიო და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისა და პერსონალის კანონიერი უფლების დაცვის მექანიზმები;
- მშობელთან დასადები ხელშეკრულების ჩარჩო;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომელშიც განსაზღვრულია და ცალკეულ მიმართულებებში მკაფიოდ იკვეთება. განსაკუთრებით დეტალურადაა წარმოდგენილი საფეხურის დაძლევის წესი, მობილობასთან და შეფასებების აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაციები. ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების პროცესთან მიმართებითაც იკვეთება, რომ სკოლა მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი და საინფორმაციო სისტემასთან ინტეგრირებული პროცედურების შესაბამისად, რაც ზრდის გამჭვირვალობას და ამცირებს სუბიექტური გადაწყვეტილების რისკს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა გადის პირველად ავტოროზაციას ექსპერტთა გუნდი დაეყრდნობა სკოლის მიერ წარმოდგენილი ,,მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესს.“, რომელშიც გაწერილია ინდიკატორის შესაბამისი პროცედურები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლას ამ ეტპაზე განსაზღვრული აქვს დამატებით მომსახურებად - გახანგრძლივებული წრე მომავალ საქმინობაში. ასევე არაფორმალური განათლების ხელშეწყობასა და მოსწავლეთა უნარების განვითარების მიზნით სკოლამ წარმოადგინა კითხვარი, რომელიც საშუალებას მისცემს განავითაროს და გაამრავალფეროვნოს დამატებითი მომსახურების სახეები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის მიერ პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა და საჭირო რესურსების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ხორციელდება სკოლის ვებ-გვერდის საშუალებით. აღნიშნული ინფორმაცია ასახულია სკოლის სხვადსახვა დოკუმენტაციებში. ინფორმაცია შეესაბამება კანონმდებლობას, არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული ეს ხელს უწყობს ნდობის

ჩამოყალიბებას სკოლასა და საზოგადოებას შორის, უზრუნველყოფს თანასწორი შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას და ქმნის ინკლუზიურ გარემოს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- არაფორმალური განათლების ამსახველი ჩარჩო-დოკუმენტაცია;
- დამატებითი მომსახურებისთვის გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულება.

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები
4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა სასწავლო გარემოში შეუფერხებელ ინტეგრაციასა და ადაპტაციის ხელშეწყობას და

მოიცავს რამდენიმე მიზნობრივ ჯგუფს — პირველკლასელებს, ახლადჩარიცხულ (გადმოსულ) მოსწავლეებსა და ენობრივი თუ კულტურული ბარიერის მქონე მოსწავლეებს. მექანიზმი ითვალისწინებს ადაპტაციის პროცესის მრავალმხრივ ხელშეწყობას: მოსწავლის სასწავლო გარემოსთან წინასწარ გაცნობას (საკლასო ოთახები, ეზო, სპორტული დარბაზი, სველი წერტილები), პირველი კლასის მოსწავლეთა მზაობის შეფასებას სპეციალური კითხვარის მეშვეობით, ასევე შემეცნებით ექსკურსიებსა და არაფორმალურ აქტივობებს, რომლებიც უწყობს ხელს მოსწავლეთა შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ცალკე ყურადღება ეთმობა მოსწავლის დღის რეჟიმის სწორ ორგანიზებას, რაც ამცირებს სტრესს და ხელს უწყობს ემოციური კეთილდღეობის შენარჩუნებას. დოკუმენტში მკაფიოდაა გაწერილი პროცესში ჩართულ მხარეთა როლები და პასუხისმგებლობები. დამრიგებელი წარმოადგენს ადაპტაციის პროცესის ცენტრალურ ფიგურას, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას, ნორმებისა და ქცევის წესების ახსნას და მშობელთან უწყვეტ კავშირს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლის მიერ წარმოდგენილ ,,მოსწავლის ადაპტაციის წესში“ ჩანს, რომ სკოლაში სწავლის დაწყების მომენტიდან იმოქმედებს მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშემწყობი მრავალკომპონენტიანი სისტემა, რომელიც ორიენტირებულია პოზიტიური საგანმანათლებლო განწყობის შექმნასა და ბავშვის ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერაზე. პროცესი ეფუძნება კომპლექსურ მიდგომას, სადაც წამყვან როლს კლასის დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლების პროფესიული დამოკიდებულება ასრულებს.

ინდიკატორი შესაბასმიობაშია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს რემედიაციის პროგრამა, რომელიც წარმოადგენს მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის სისტემურ მექანიზმს. პროგრამის მიზანია დაწყებითი საფეხურის იმ მოსწავლეთათვის დროებითი, დამატებითი მხარდაჭერის გაწევა, რომლებსაც ესაჭიროებათ საბაზისო აკადემიური უნარების განვითარება, სირთულეების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირება და მომავალში აკადემიური თავდაჯერებულობისა და მზაობის ამაღლება. პროგრამა მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას — ინგლისურ ენას, მათემატიკასა და წიგნიერებას. დოკუმენტში მკაფიოდაა აღწერილი მიზნობრივი ჯგუფის იდენტიფიცირების მექანიზმი, რომელიც ეფუძნება დიაგნოსტიკურ ტესტირებასა და დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლის მიერ ჩატარებულ შეფასებას. პროგრამა ითვალისწინებს საგნობრივად დეტალიზებულ აქტივობებს: მოსწავლის პროგრესი აღირიცხება და ფასდება განმავითარებელი შეფასების, მოსწავლის პორტფოლიოსა და საბოლოო დიაგნოსტიკური ტესტირების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს მხარდაჭერის ეფექტიანობის თვალყურის დევნებას. პროცესში ჩართულ მხარეთა როლები

მკაფიოდაა განაწილებული — პროგრამის დაგეგმვასა და განხორციელებას კოორდინირებულად უზრუნველყოფენ სკოლის ადმინისტრაცია, საგნობრივი კათედრები, დამრიგებელი და რემედიაციის მასწავლებელი.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლა წარმოდგენილ სხვადასხვა ჩარჩო დოკუმენტებით განსაზღვრავს სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობასა და გამჭვირვალობას. სკოლა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მიაწვდის ყველა დაინტერესებულ პირს ამომწურავ ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზაციულ საკითხებზე. ინფორმაციის გაზიარება მოიცავს თემებს, როგორიცაა: სასწავლო წლის დაწყებისა და დასრულების ვადები, არდადეგების განრიგი და ხანგრძლივობა, მობილობის ვადები და მასთან დაკავშირებული შესაძლო შეზღუდვები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლის მიერ წარმოდგენილი, არაფორმალური განათლების ამსახველი სხვადასხვა დოკუმენტი იძლევა ინდიკატორის დადებითად შეფასების საშუალებას. წარმოდგენილი მექანიზმები ქმნის მყარ საფუძველს არაფორმალური განათლების მიმართულების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისთვის და სკოლას აძლევს საშუალებას, თანმიმდევრულად გააუმჯობესოს აღნიშნული მიმართულება.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას აღნიშნული ინდიკატორის შეფასება ამ ეტაპზე ვერ ხერხდება.
ინიდკატორი შესაბამისობაშია.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- რემედიაციის პროგრამა;

- საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი მომსახურების ხელმისაწვდომობას მოსწავლეთათვის. პროფესიული ორიენტაციის მიმართულების გაძლიერების მიზნით, სკოლა ითანამშრომლებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან — კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა მზაობის ამსახველი მიმოწერები თანამშრომლობის შესახებ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლის მიერ წარმოდგენილ ,,კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშემწყობ“ ამსახველ მექანიზნებში, ჩანს, რომ სკოლაში არსებული კარიერული განვითარების სერვისი უპირველეს ყოვლისა გაითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, უნარებსა და პიროვნულ მახასიათებლებს და ამავდროულად უზრუნველყოფს კარიერული განვითარების პროგრამის შემუშავების პროცესში მოსწავლეთა მშობლების ან/და კანონიერ წარმომადგენელთა ჩართულობას. მნიშვნელოვანია, რომ სკოლა შეისწავლის და მოახდენს იმის იდენტიფიცირებას, თუ რამდენად დაეხმარა მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მისი უნარებისა და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა მუდმივად მიაწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას სხვადასხვა უნივერსიტეტისა და პროფესიული სასწავლებლის მიერ დაგეგმილ ღია კარის დღეებსა და სხვადასხვა ღონისძიებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ამ ეტაპზე ვერ ხერხდება გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების შეფასება.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
,,კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშემწყობი მექანზიმები".

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლესთან მუშაობის სისტემური მექანიზმი, რომელიც ასახულია ინკლუზიური განათლების ამსახველ დოკუმენტში. დოკუმენტი მოიცავს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის სრულ ციკლს — იდენტიფიცირებიდან დაწყებული, ინდივიდუალური მიდგომის დაგეგმვით, განხორციელებითა და შედეგების შეფასებით დამთავრებული. დოკუმენტში მკაფიოდაა განსაზღვრული სსსმ მოსწავლის იდენტიფიცირების საფუძვლები და კატეგორიები — მათ შორის ფიზიკური, ინტელექტუალური თუ სასწავლო შეზღუდვები, სენსორული (სმენის/მხედველობის), მეტყველების, ქცევითი და ემოციური დარღვევები, ასევე ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაცია, სოციალური ფაქტორები და ენობრივი ბარიერი. მოსწავლისთვის სპეციალური საჭიროების სტატუსისა და სასწავლო გეგმის ადაპტირების საჭიროებას ადგენს სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდი, რაც უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობასა და დასაბუთებულობას.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლის მიერ წარმოდგენილ მექანიზმში მკაფიოდაა განაწილებული როლები და პასუხისმგებლობები. ისგ-ის ჯგუფი, რომელსაც ქმნის სკოლის დირექტორი, აერთიანებს დამრიგებელს (კოორდინატორი), საგნის მასწავლებლებს, ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებს, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და საჭიროების შემთხვევაში სხვა ექსპერტებს. ჯგუფი სასწავლო წლის განმავლობაში შეიკრიბება სულ მცირე ოთხჯერ პროგრესის შესაფასებლად და გეგმის საჭიროებისამებრ კორექტირებისთვის; სასწავლო წლის ბოლოს დამრიგებელი წარადგენს ანგარიშს ისგ-ის მიზნების მიღწევის შესახებ დირექტორის, პედაგოგიური საბჭოსა და მშობლის წინაშე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლება.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლა შესთავაზებს მოსწავლეებს გახანგრძლივებულის მომსახურებას, როგორც დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. სკოლამ წარმოადგინა მომსახურების გაწევისთვის მშობელთან გასაფორმებელი შეთანხმების ჩარჩო-დოკუმენტი, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

გახანრძლივებული სწავლების მომსახურება განხორციელდება ნებაყოფლობით პრინციპით. მომსახურების გაწევისთვის გასაფორმებელი შეთანხმების ჩარჩო-დოკუმენტი ასახავს აღნიშნულს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სკოლაში არსებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების გაწევის პროცესში გათვალისწინებულია უსაფრთხოების ზოგადი წესები. სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის. უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება, მშობელთან და მასწავლებელთან გაფორმებული ჩარჩო-ხელშეკრულებებით, რომელშიც გაწერილია სკოლის ვალდებულებები გააკონტროლოს და დაიცვას მოსწავლის უსაფრთხოება სასწავლო პროცესის განმავლობაში, ხოლო დასაქმებული უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოთი.
ინდიკატორი შესაბიმისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთან დასადები ხელშეკრულების ჩარჩო;
- მასწავლებელთან დასადები ხელშეკრულების ჩარჩო.

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლას 2026 წლის 20 აპრილის ბრძ. N3 დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით დამტკიცებული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების საჭიროებები, ფუნქციები, პრიორიტეტები და შეხედულებები. წარმოდგენილ დოკუმენტში ასახულია სასკოლო კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მექანიზმი, სადაც ასახულია სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლები, ადმინისტრაცია) ფუნქციები, როლი და მნიშვნელობა. აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით მასწავლებლებმა შექმნეს საგნობრივი კურიკულუმები, სადაც ასახულია საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და გრძელვადიანი მიზნები, რის მიხედვით წარმოდგენილია საკითხები, შემოქმედებითი დავალებების პირობები, შესაბამისი რესურსები, რომლებიც დაკავშირებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებთან. საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს, რომლის მიხედვით შემდგომში სასწავლო პროცესი დაიგეგმება და განხორციელდება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი (2026 წლის 20 აპრილი, ბრძ. N3), რის მიხედვით შექმნილია საგნობრივი კურიკულუმები და ჩართულია მთელი სასკოლო საზოგადოება. კათედრების მიერ საგნობრივი სტანდარტების მიხედვით შეიქმნა კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც გათვალისწინებულია საგნობრივი თემები, საკითხები, შემოქმედებითი დავალების პირობები, საგანმანათლებლო რესურსები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და საგნობრივ ცოდნის მიღებასთან ერთად მაღალი საზროვნო უნარების

განვითარებას, რაც დასტურდება საგნობრივ კურიკულუმებში ასახული შემოქმედებითი დავალებებით, რომლის შესრულების პროცესშიც მშობლის ჩართულობაც განხორციელდება და გათვალისწინებული იქნება მთლიანი სასკოლო საზოგადოების ინტერესები. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებითა გამოიკვეთა, რომ სასკოლო კურიკულუმის შექმნაში სკოლაში მუშაობენ გუნდურად, ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებასა და რეკომენდაციებს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ
კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებულია საგნობრივი კურიკულუმები. წარმოების პროცესში გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების შექმნისას ჩართულია მთელი სკოლა, რაც ხელს უწყობს მისი შინაარსობრივი ნაწილის დახვეწას საკითხების, რესურსებისა და შემოქმედებითი ბუნების დავალებების მიხედვით. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში (გვ:3-4) აღწერილია პროცესი, მშობელთა როლისა და ფუნქციის მიხედვით კურკულუმების დახვეწის კუთხით, რაც უზრუნველყობს მთლიანი სასკოლო საზოგადოების ჩრთულობას. შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმების შექმნის პროცესში სასკოლო კულტურის ნაწილია. ამრიგად, ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

1. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. საგნობრივი კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი. სასკოლო კურიკულუმი საჯაროა და გაზიარებულია ელექტრონულად.ინდიკატორი შესაბამისობაშია.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები ორიენტრიებულია მოსწავლეთა განვითარებაზე. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელი სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას იძლევა. მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმაზე მუშაობს მთელი წელი და ამტკიცებს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სულ მცირე ერთი კვირით ადრე. რჩევა: სასურველია, გადაიხედოს ბუნებისმეტყველების კურიკულუმები და გაიწეროს ერთიანი საგნობრივი კონცეპტუალური ჩარჩო მიხედვით. ასევე ბუნებისმეტყველების, სწავლების პროცესში დაიგეგმოს დამატებითი აქტივობები, როგორიცაა ინტეგრირებული პროექტები და მარტივი ექსპერიმენტების ჩატარება დაწყებითი საფეხურის შესაბამისად. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებითი საფეხურის (III-VI კლასების) საგნობრივი კურიკულუმები არის ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმის შემუშავებისას პედაგოგებმა საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმეს კომპლექსური დავალებებით სწავლება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაზრდას. მოსწავლე ისწავლის, როგორ წარმართოს საკუთარი სწავლის პროცესი, დააკვირდეს, რას გაართვა თავი მარტივად, რა წინააღმდეგობები შეხვდა გზად და როგორ გადალახა ისინი მასწავლებლის დახმარებით. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები, მზაობა, გამოცდილება, ინტერესები და სურვილები. ასევე, ყველა სტრატეგია, მეთოდი, აქტივობა თუ რესურსი მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

	ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
უცხოური ენები	უცხოური ენების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (ინგლისური,რუსული) წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;კურიკულუმებში შეტანილი თემები მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. კათედრა გამოთქვამს მზაობას I-IV კლასებში დამუშავდება ესგ-ით განსაზღვრული ცნებები :ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები; V-VIკლასებში : ტექსტი,სამეტყველო ქმედება, ენობრივი სშუალებები და კულტურათა დიალოგი. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შუალედური(საკითხები,თემები,კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და მითითებული რესურსებიდან გამომდინარე სადაც გამოკვეთილია თუ როგორ უნდა დამუშავდეს არნიშნული შუალედური და გრძელვადიანი მიზნები შემიძლია დავასკვნა, რომ აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	ახლად დაფუძნებული სკოლის, დაწყებითი საფეხურის პედაგოგები თვლიან, რომ მოსწავლეები დროთა განმავლობაში კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შემდეგ კონკრეტული საგნობრივი საკითხების მიზნობრივი და დეტალური დამუშავებით შეძლებენ, სამიზნე ცნებებისა და მათი მკვიდრი წარმოდგენების შეძლებისდაგვარად სრულყოფილად გააზრებას. ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი სამომავლოდ წარიმართება

	ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ განსაზღვრული სწავლა/სწავლების მეთოდიკური პრინციპებით. კომპლექსური დავალებების იდეების გაცნობამ, პედაგოგიკური პრაქტიკის აღწერამ და წარმოდგენილი დავალებების ერთგვარმა შემოქმედებითმა ხასიათმა, ცხადად წარმოაჩინა პედაგოგთა რეალური ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. დაწყებითი საფეხურის კათედრისთვის ცხადია, რომ სასწავლო გეგმამ, საგნობრივმა კურიკულუმმა, უნდა შეძლოს მოსწავლის საბაზისო ინტერესებისა და მისწრაფებების აქტუალიზაცია. პედაგოგთა მხრიდან კონსსტრუქტივიზმის, როგორც სასწავლო პარადიგმის გააზრება და მისი ძირითადი პრინციპების პრაქტიკული რეალიზების მცდელობა, როგორც ინტერვიუერებისას აღინიშნა, სწავლა/სწავლების პროცესის მთავარი პოსტულატი გახდება. ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ სტანდარტებს. მათში გაწერილია ის გზები და საშუალებები, რომლის საფუძველზე ხერხდება დასახული მიზნის მიღწევა. კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი თემები, სამიზნე ცნებები, შემოქმედებითი დავალებების იდეები, რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ გრძელვადიანი მიზნების მიღწევის საშუალებებს. დაგეგმილი და შემუშავებული კურიკულუმის განხორციელების ვალდებულება ამტკიცებს მოსაზრებას, რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის წარმართვის და განვითარების გზას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია რჩევა: სასურველის შეივსოს ყველა განყოფილება, რაც წარმოდგენილია კურიკულუმებში. მითითებულ იქნას სახელმძღვანელოდან შესაბამისი გვერდები და გრიფირებული სახელმძღვანელო. თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.

სპორტი	შემუშავებული კურიკულუმი სრულად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. იგი აგებულია იმგვარად, რომ მთავარი ფოკუსი გადატანილია მოსწავლის საჭიროებაზე, შესაძლებლობასა და ინტერესებზე, რაც უზრუნველყოფს ეფექტიან და ინკლუზიურ სწავლას. გამოყენებულია მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც ზრდის ჩართულობასა და მოტივაციას. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური ფიზიკური მომზადება და განვითარების ტემპი. დაწყებით კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, გაწერილი თემები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები,საკითხები და დაგეგმილი აქტივობები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარებასა,ორგანიზებასა,თვითკონტროლსა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. ინდიკატორი 2.1.2.1 დადასტურებულია.
ტექნოლოგიები	სკოლაში კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ შემუშავებულია II–VI კლასების საგნობრივი კურიკულუმი, რომელიც განსაზღვრავს სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვის ძირითად მიმართულებებს. ყველა კლასის კურიკულუმში სასწავლო თემების ფარგლებში მუშავდება გრძელვადიანი სასწავლო მიზნები - სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები. კურიკულუმებში წარმოდგენილია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეფუძნება რეალურ ან რეალობასთან ახლოს მდგომ სიტუაციებს. შუალედური მიზნების მისაღწევად კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებების იდეები და პირობები. აღნიშნული დავალებები ორიენტირებულია მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობაზე და მათი შესრულების პროცესში მოსწავლეები შექმნიან სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით პროდუქტს, რაც ხელს შეუწყობს ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას, პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებასა და შემოქმედებითი აზროვნების ფორმირებას.

	კურიკულუმის ფარგლებში ასევე განსაზღვრულია დავალებების შესრულების პროცესში გამოსაყენებელი სასწავლო რესურსები. წარმოდგენილი რესურსები შერჩეულია სასწავლო მიზნებისა და დავალებების სპეციფიკის შესაბამისად და ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას. კურიკულუმის სტრუქტურა და შინაარსი აჩვენებს, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისას აქცენტი კეთდება მოსწავლის აქტიურ მონაწილეობაზე, ცოდნის კონსტრუირებაზე და მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების პროცესში მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ საგნობრივი კურიკულუმი გამოიყენებულ იქნება როგორც სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისა და განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმა-ს მოთხოვნებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, კურიკულუმებში გაწერილია თემები საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. შუალედურ მიზნებად მოაზრებულია შემოქმედებითი დავალებები, შემუშავებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით. რჩევა: I კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში გაიწეროს ანბანის შემდგომი პერიოდი. სტანდარტის მიხედვით. ასევე დაწყებითი კლასის კურიკულუმებში

	მითითებულ იქნას, სასწავლო საათები როგორც ჯამურად ასევე თემების მიხედვით, ყველა კლასში. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბუნებისმეტყველების კურიკულუმები არის პროცესზე ორიენტირებული და მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. საგნობრივი კურიკულუმები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. რჩევა: სასურველია რომ ბუნებისმეტყველების V და VI კლასის კურიკულუმის ჩარჩოში თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები გადაიხედოს და გაიწეროს მიმდინარე საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. კერძოდ, V კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები „დედამიწა და გარესამყარო“, „ცოცხალი სამყარო“, „სხეულები და მოვლენები“, სასურველია დამუშავდეს შემდეგი ცნებები: „სხეული“, „მოვლენა, პროცესი“, „გეოგრაფიული ობიექტი“, „ორგანიზმი“, „მდგრადი განვითარება“. VI კლასის კურიკულუმს დაემატოს სავალდებულო თემა „ენერგია და მისი გარდაქმნა“. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვენებს.	
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის	

	გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს შეუწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული კომპლექსური დავალებები. კურიკულუმებში სტანდარტით გათვალისწინებული თითქმის ყველა სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. რჩევები დაწყებითი საფეხურისთვის: **1.** სასურველია, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს (მაგ. მე-4 კლასის კურიკულუმში, საგანში "მე და საზოგადოება", არცერთ თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „პიროვნება"); **2.** სასურველია, სავალდებულო თემების და სამიზნე ცნებების სახელწოდებები შესწორდეს შესაბამისი საფეხურისა და საგნის სტანდარტის მიხედვით (მაგ. მე-4 კლასის კურიკულუმში, საგანში "მე და საზოგადოება" არ არის მესამე სავალდებულო თემა „მე და ჩემი ქვეყანა". მე-5 და მე-6 კლასის „ჩვენი საქართველოს" კურიკულუმში არასწორად არის სამიზნე ცნებები); **3.** უმჯობესია, კურიკულუმში დეტალურად ჩანდეს რომელი სამიზნე ცნება და ქვეცნება რომელი საკითხით/საკითხებით დამუშავდება; **4.** უმჯობესია, თითოეულ ცნებასთან მიმართებით დაზუსტდეს ქვეცნებები (მაგ. მე-6 კლასის კურიკულუმში, თემაში „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი" სამიზნე ცნება "მეურნეობის" შესაბამისი ქვეცნება არის „სოფლის მეურნეობა". კომპლექსური დავალებიდან გამომდინარე უნდა დაზუსტდეს ქვეცნება სწორად, მაგ. მეცხვარეობა, მეფრინველეობა, მეხორბლეობა, ან რაიმე სხვა); **5.** უმჯობესია, კურიკულუმებში გაიწეროს კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში (მაგ. მე-4 კლასში დაგეგმილია 9 კომპლექსური დავალება, რომელთა განხორციელება საათობრივი დატვირთვიდან გამომდინარე სავარაუდოდ რთული იქნება);	

	6. სასურველია, ყველა კლასისა და საგნის კურიკულუმში, სათაურის ველში მიეთითოს ძირითადი სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორები და გამომცემლობა; 7. სასურველია, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა კურიკულუმებში მიეთითოს სხვა დამატებითი რესურსი (მაგ. მე-5 და მე-6 კლასის "ჩვენი საქართველოს" კურიკულუმებში მხოლოდ სახელმძღვანელოა მითითებული); სასურველია, კურიკულუმებში მიეთითოს თითოეული თემისთვის გათვალისწინებული საათების სავარაუდო განაწილება.	
უცხოური ენები	უცხოური ენების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (ინგლისური, რუსული) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში თემები, შემოქმედებითი დავალებების იდეები, რესურსები, სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. კათედრა გამოთქვამს მზაობას კურიკულუმები გაამდრიდროს რესურსებით, რათა სასწავლო პროცესი სახალისო და ნაყოფიერი გახდეს. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.	
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შუალედური(საკითხები,თემები,კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და მითითებული რესურსებიდან გამომდინარე სადაც გამოკვეთილია თუ როგორ უნდა დამუშავდეს აღნიშნული შუალედური და გრძელვადიანი მიზნები შემიძლია დავასკვნა, რომ აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.	
სახელმწიფო ენა	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო მასალა - შერჩეული მხატვრული ტექსტები, საშინაო და საკლასო წერის დავალებები, შერჩეული თემები, შემოქმედებითი ხასიათის დავალებები და მასწავლებელთა მხრიდან ამ დავალების შესასრულებლად დაგეგმილი სასწავლო აქტივობები, შესაძლებლობას იძლევა ხელი შეეწყოს მოსწავლეთა ფუნქციურ - კომპეტენტური უნარების განვითარებასა და ეროვნული	

	სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. პედაგოგები იაზრებენ, რას ნიშნავს დაწყებითი საფეხურის სასწავლო შედეგებზე, გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირება და შესაბამისად, მოსწავლეთა ნამუშევრების, - როგორც შუალედური სასწავლო მიზნების ანალიზისას მიღებული შედეგებისა და მონაცემების გამოყენებით, შეეცდებიან გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას. ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.	
მათემატიკა	კურიკულუმში წარმოდგენილი თითოეული კომპონენტები იძლევა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. სწავლა-სწავლების გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირად არის სამიზნე ცნებები და შედეგები, ჩანს ამ ცნებების იერარქიული კავშირში ერთმანთთან. მოცემულია საკითხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც, ამუშავებს სამიზნე ცნებებს და უზრუნველყოფს მათ საფუძვლიანად შესწავლას. ამავე დროს ორიენტირებულია სტანდარტით განსაზღრულ შედეგებზე და ხელს უწყობს ისეთ ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა: კრიტიკული, შემოქმედებიითი, კომუნიკაციის, თანამშრომლობით, მოქალაქეობრივი და ნებელობის უნარების განვითარება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია	
სპორტი	გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში გაითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, დაწყებით, საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, სწრაფი გადაწყვეტილება, ემპათია, გუნდურობა, პატივისცემა, ჰოლისტური განვითარება,	

	ღირებულებების განვითარება, აქტიური და ჯანმრთელი მოქალაქის ჩამოყალიბებას. და განვითარებას. ინდიკატორი 2.1.2.2 დადასტურებულია	
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო თემების ფარგლებში მუშავდება ის სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ სტანდარტში. გამონაკლისია მე-3, მე-4 კლასის კურიკულუმები სადაც გაპარულია შეცდომა, კერძოდ, სამიზნე ცნება „კომპიუტერის ფუნქციონირების პრინციპები“-ს მაგივრად წერია „კომპიუტერის აგებულება“. კურიკულუმებში განსაზღვრული სასწავლო რესურსები და შუალედური მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები ასევე შეესაბამება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან სასწავლო მიზნებს/ სამიზნე ცნებებს და ხელს შეუწყობს მათ ეფექტიანად მიღწევას სასწავლო პროცესში. საბოლოო ჯამში, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების პროცესში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში შემუშავებული II–VI კლასების საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმ მიზნებისა და სასწავლო შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის კომპიუტერული ტექნოლოგიების სტანდარტით. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. რჩევა: მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმებში ნაცვლად ცნებისა „კომპიუტერის აგებულება“, ჩაიწეროს „კომპიუტერის ფუნქციონირების პრინციპები“. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.	

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში არის მკაფიო კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები, შუალედური სასწავლო მიზნები გაწერილია კურიკულუმში შემოქმედებითი/ კომპლექსური ტიპის დავალების სახით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.	

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბუნებისმეტყველების კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; სკოლამ წარმოადგინა შერჩეული გრიფირებულ სახელმძღვანელოების სია. ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში მითითებულია დამატებითი მრავალფეროვან რესურსებს, მათ შორის ონლაინ რესურსებს, ვიდეოებს და ა.შ. რჩევა: სასურველია ყველა კურიკულუმში მითითებული იყოს ძირითადი სახელმძღვანელო სრულყოფილად დასახელების, ავტორების, გამომცემლობის, გამოცემის წლის მითითებით სატიტულო გვერდზე, რაც გამოარჩევს დამხმარე სახელმძღვანელოებისგან. ასევე, კურიკულუმებში სასურველია გაიწეროს თითოეული თემის საათობრივი დატვირთვა და სკოლაში არსებული რესურსების შესაბამისად მატერიალური რესურსები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვენებს.	

საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული. ისინი ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ძირითად სასწავლო რესურსად განსაზღვრულია გრიფირებული სახელმძღვანელოები. ამასთანავე, მითითებული აქვთ სხვადასხვა დამხმარე მასალა, რაც ხელს შეუწყობს აქტიური და ჩართულობაზე ორიენტირებული სწავლის პროცესის განხორციელებას. ასევე, უზრუნველყოფს სასწავლო მიზნებისა და შედეგების ეფექტურად მიღწევას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. რჩევები დაწყებითი საფეხურისთვის: 3. სასურველია, ყველა კლასისა და საგნის კურიკულუმში, სათაურის ველში მიეთითოს ძირითადი სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორები და გამომცემლობა; სასურველია, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა კურიკულუმებში მიეთითოს სხვა დამატებითი რესურსი (მაგ. მე-5 და მე-6 კლასის "ჩვენი საქართველოს" კურიკულუმებში მხოლოდ სახელმძღვანელოა მითითებული);	
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის წევრები, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენისა და მეორე უცხოური ენის (რუსულის) მასწავლებლები, მზაობას გამოთქვამენ იხელმძღვანელონ გრიფირებული სახელმძღვანელოებით და ასევე შეარჩიონ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით რესურსები. რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო . არაფორმალური განათლების მხრივ გეგმავენ კლუბის შექმნას. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.	
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მითითებული რესურსებიდან გამომდინარე სადაც გამოკვეთილია თუ	

	როგორ უნდა დამუშავდეს შუალედური და გრძელვადიანი მიზნები შემიძლია დავასკვნა, რომ აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია რჩევა: სასურველია ყველა კლასის მუსიკის კურიკულუმში რესურსების ველში უფრო დეტალურად იქნას მითითებული თუ რა რესურსები იქნება გამოიყენებული შუალედური და გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად, ასევე რომელ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს გამოიყენებს სასწავლო პროცესში.	
სახელმწიფო ენა	საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო რესურსები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და აკადემიურ შესაძლებლობებს. შერჩეული სასწავლო მასალები ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას და აკადემიური ცოდნის კონსტრუირებისათვის ქმნის ხელსაყრელ პირობებს. პრეზენტაციისას პედაგოგებმა ისაუბრეს იმ საგანმანათლებლო რესურსებზე, რომელთაც გამოიყენებენ სხვადასხვა სახის პროექტებისა და შემოქმედებითი ტიპის დავალებების შესასრულებლად. ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.	
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმში, შემოქმედებითი პროდუქტების შესაბამისად, მითითებულია რესურსები არა მხოლოდ შემოქმედებით დავალებებზე მუშაობისათვის, არამედ, იმ საკითხების შესაბამისად, რომელსაც ამუშავებენ წლის მანძილზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია	
სპორტი	გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა სასწავლო პროცესში გაითვალისწინებს მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, ექნებათ მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სკოლა უზრუნველყოფილია ინვენტარითა და	

	შესაბამისი აღჭურვილობით. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჯანმრთელი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებას და ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობის განვითარებას. განავითარებს ძირითადი ფიზიკურ უნარებისა და მოტორულ შესაძლებლობას, გაამყარებს გუნდური მუშაობის, თანამშრომლობისა და სამართლიანი თამაშის პრინციპებს. ზრდის მოსწავლეთა პასუხისმგებლობას, თვითდისციპლინასა და მიზანდასახულობას. სკოლას აქვს მზაობა მაგრამ ინდიკატორი 2.1.2.3 დადასტურებულია	
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციის შესწავლის და მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგან კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების პროცესში გამოიყენებულ იქნება სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსი, კერძოდ: ტექნიკური და მატერიალური რესურსები: ინტერნეტი, კომპიუტერები, პროექტორი, ვიზუალური მასალა. ელექტრონული სასწავლო რესურსები: school.emis.ge, Microsoft Office (Word, Excel, PowerPoint), Paint/Paint 3D, WordPad, , scratch.mit.edu, code.org, Minecraft Education Edition, ვსწავლობთ თამაშით. აღნიშნული სასწავლო რესურსები ემსახურება კონკრეტული თემის ფარგლებში განსაზღვრული სამიზნე ცნებების და საკითხების დამუშავებას. რესურსები თემების მიხედვით არის შერჩეული და ორგანიზებულია ისე, რომ თითოეული მათგანი მიმართულია შესაბამისი სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევისკენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია	

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვთ როგორც ძირითადი სასწავლო სახელმძღვანელოები და რვეული, ასევე დამატებითი რესურსები მაგ. I კლასის საანბანე პერიოდში), ელ. რესურსები. წარმოდგენილი რესურსები კურიკულუმში გაწერილი მიზნების მიღწევისთვის საშუალებაა. თუმცა არის გარკვეული კლასები და საგნები სადაც რჩევისამებრ უნდა დაემატოს ან ჩასწორდეს რესურსი. რჩევა: სასურველია გაიწეროს I კლასის ქართული ენის და ლიტერატურის ანბანის შემდგომი პერიოდის რესურსი, მითითებულ იქნას ამავე კლასის კურიკულუმში თითოეულ თემაზე განსაზღვრული რესურსის/ ძირითადი სახელმზრვანელოს გვერდები. მათემატიკის III კლასის კურიკულუმში გაიწეროს სასწავლო რესურსი, დამატებით და ელ-რესურსებთან ერთად. ბუნებისმეტყველების III კლასის კურიკულუმში დაზუსტდეს ძირითადი რესურსი და თითოეულ თემაზე მითითებულ იქნას სახელმძღვანელოს გვერდებიც. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.	

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბუნებისმეტყველების კურიკულუმებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა უნარები და შესაძლებლობები. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენციალურ მიდგომებს. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს დოკუმენტი ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობისთვის. ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სკოლა აცნობიერებს თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებებს, შესაძლებლობებს და სწავლის პოტენციალს.	

	სკოლას ასევე შემუშავებული აქვს რემედიაციის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალურ დამატებით მხარდაჭერას აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. რჩევა: სასურველია დიფერენცირებული მიდგომები აისახოს კომპლექსური დავალების ფორმებში და შეფასების რუბრიკებში. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.	
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით კათედრაზე მოახდენენ კომპლექსური დავალების პირობის მოდიფიცერებას. მოსწავლეებს მისცემენ საშუალებას თავად აირჩიონ შესასრულებელი პროდუქტებიდან მათთვის სასურველი და მასზე იმუშაონ. სკოლას ჰყავს სპეც-მასწავლებელი (როგორც გასაუბრებაზე აღინიშნა), მასთან ერთად შექმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, თითოეული მოსწავლეს შეუქმნიან ინკლუზიურ გარემოს და უზრუნველყონ მათთვის ხარისხიანი განათლების მიცემა. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.	
უცხოური ენები	საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული შემოქმედებითი დავალებების იდეები, რომლებიც მოსწავლის წინარე ცოდნას, გამოცდილებას, შესაძლებლობას ეყრდნობა, იძლევა მოქნილ სასწავლო გარემოს. კურიკულუმში მოცემული დავალებები მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებებით. შემაჯამებელი დავალებების საშუალებით დაადგენენ მოსწავლეთა საჭიროებებს და მიმართავენ სათანადო ინტერვეციებს. კათედრაზე აქვთ	

	მზაობა განახორციელონ პროექტები, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს არაფორმალური განათლების გზით ესგ-ს გრძელვადიან მიზნების მიღწევაში. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური სწავლების, მოსწავლის ადაპტაციის და მოსწავლის რემედიაციის მექანიზმები. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.	
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის ეროვნულ სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად გაითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, ასევე მასწავლებლებმა გასაუბრებაზე ისაუბრეს თუ რა მეთოდებით მოახდენენ კურიკულუმში ასახული შემოქმედებითი დავალებების დიფერენცირებას, ასევე მუსიკასა და სახვით ხელოვნებაში სკოლის მიერ მოწოდებული დამატებითი რესურსებიდან, აქტივობებიდან და კურიკულუმებიდან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია	
სახელმწიფო ენა	დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა იციან, რომ უნდა შეიქმნას განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლის პიროვნული განვითარებისა და ცოდნის დონის დინამიკის განსასაზღვრად და შესაფასებლად. პედაგოგთა თვალთახედვით, მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური, ფსიქო-ემოციური თავისებურებების მიხედვით კომპლექსური დავალებების შეძლებისდაგვარად მოდიფიცირება და სასწავლო პროცესში დიფერენცირებული, ინკლუზიური მიდგომების გამოყენება. კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი ხასიათის დავალებები შეძლებისდაგვარად მოდიფიცირებულია და როგორც იკვეთება, სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნება დიფერენცირებული, ინკლუზიური მიდგომები. ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.	
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების უმთავრესი მიზანია სკოლის თითოეულ მოსწავლეს ხელი მიუწვდებოდეს ხარისხიან	

	განათლებაზე. სკოლაში შეიქმნას მათზე მორგებული სასწავლო გარემო,სადაც მოსწავლე შეძლებს თავისი ინტერესების დაკმაყოფილებას, შესაძლებლობების რეალიზებას ინდიკატორი დაკმაყოფილებულია	
სპორტი	გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა სასწავლო პროცესში გაითვალისწინებს მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს კერძოდ : · საგანმანათლებლო მიზნებს. · სასწავლო აქტივობებს. · შეფასების სისტემას. · ინკლუზიური მიდგომას. · პრაქტიკული მიმართულებას. აქტიურად მიიღებენ სპორტულ ღონისძიებებში და შეჯიბრებებში მონაწილეობას.. როგორს ფორმალურ ისე არაფორმალურ სპორტულ ღონისძიებებში დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ინდიკატორი 2.1.2.4 დადასტურებულია	
ტექნოლოგიები	სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი დაორგანიზოს ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად და გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები. მასწავლებელთან გასაუბრების დროს მან გამოთქვა მზაობა გამოიყენოს დიფერენცირების სხვადასხვა მეთოდები, კერძოდ მოსწავლეთა მზაობის დონის გათვალისწინებით შესთავაზოს განსხვავებული სირთულისა და ფორმატის დავალებები. დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისათვის გაითვალისწინოს მხარდამჭერი რესურსები და დამატებითი ინსტრუქციები, როგორიცაა წინასწარ მომზადებული მასალები, შაბლონები, ტექსტის რედაქტირებაში დახმარება,	

	დავალების შესასრულებლად დამატებითი დროის მიცემა და ინდივიდუალური კონსულტაციები. მასწავლებელმა წარმოადგინა სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში თავის საგანში, რომელიც შესრულებულია ინდ.გეგმის ამჟამად მოქმედი ფორმის მიხედვით. ინდ.გეგმაში წარმოდგენილია ადაპტირებული დავალება თავის შეფასების რუბრიკით. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას შეუძლია უზრუნველყოს სწავლების პროცესის ინკლუზიურობა, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება და კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია	
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გასაუბრებისას პედაგოგებმა დააფქსირეს მზაობა რომ, სკოლაში სასწავლო პროცესი დაეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებს და საჭიროებების გათვალისწინებას დავალებებზე მუშაობის პროცესში. სკოლას ჰყავს სპეც-მასწავლებელი (როგორც გასაუბრებაზე აღინიშნა) და აქვთ მზაობა თუ სსსმ მოსწავლე იქნება სკოლაში, უზრუნველყონ მისთვის ხარისხიანი განათლების მიცემა. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.	

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილია ბუნებისმეტყველების როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ზოგად პრინციპებს. რჩევა: სასურველია შეფასების რუბრიკები გაიწეროს კონკრეტული დავალებისთვის და ორიენტირებული იყოს გრძელვადიან მიზნებზე; ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.	
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე გამოიყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლა ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპებისა და მიზნების დანერგვაზე. კომპლექსურ დავალებებებზე მუშაობის პროცესსა და შედეგს შეაფასებენ კონკრეტული დავალებისთვის შექმნილი შეფასების სქემებით. სკოლამ წარმოადგინა ასევე ზოგადი შეფასების რუბრიკები, რომლებიც კათედრაზე, წევრების ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. დაწყებით საფეხურის (III-VI კლასები) შეფასების რუბრიკები ზოგადი ხასიათისაა და ნაკლებად იკვეთება მათი კავშირი კონკრეტულ სასწავლო მიზნებსა და დავალების შესრულების ინდიკატორებთან. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. რჩევა დაწყებითი საფეხურისთვის: სასურველია, შეფასების რუბრიკებში უფრო მკაფიოდ იყოს ასახული სასწავლო მიზნებთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმები და შესრულების ინდიკატორები, რაც უკეთ გამოკვეთს შეფასების პროცესს.	
უცხოური ენები	სკოლა გეგმავს განმავითარებელ შეფასებას შემდეგი გზებით : ✓ მოკლევადიანი სიტყვიერი და წერილობითი კომენტარი - მოსწავლეთა სწავლაში წარმატების მიღწევაში	

	დახმარებისათვის, სირთულეების დაძლევის გზების ჩვენებასა და რჩევებისათვის საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენისათვის; ✓ პორტფოლიო- რომელიც მოიცავს მოსწავლის მიერ შესრულებულ საშინაო და საკლასო ნამუშევრებს. პორტფოლიოს დანიშნულებაა მოსწავლემ და მასწავლებელმა შეაფასონ ნამუშევრები დინამიკაში, მოხდა თუ არა პროგრესი, გააცნობიერონ თუ რა შეცდომები დაუშვა მოსწავლემ და როგორ შეიძლება მომავალში მათი თავიდან აცილება, ფასდება მთელი სემესტრის განმავლობაში; ✓ შემაჯამებელი წერილობითი კომენტარი - გამოიყენება სემესტრის ბოლოს და წლის ბოლოს; V კლასის მეორე სემესტრსა და VI კლასის ორივე სემესტრში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება გარდა სპორტისა და საღვთო სჯულისა. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით. უცხოური ენების კათედრას აქვს მზაობა შექმნას შეფასების რუბრიკები, რომლებიც სრულად მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, გამჭირვალეობას, სანდოობას. სემესტრის მანძილზე მოსწავლეები შეიძლება შეფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით: ა) მიმდინარე საშინაო დავალება; ბ) მიმდინარე საკლასო დავალება; გ) შემაჯამებელი დავალება. მასწავლებელი სემესტრის განმავლობაში იყენებს განმავითარებელ შეფასებას ნებისმიერ კომპონენტში. სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში: ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI კლასის ორივე სემესტრი). ბ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI კლასის ორივე სემესტრი). ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.	
ესთეტიკური აღზრდა	სახვით ხელოვნებასა და მუსიაკში სკოლის მიერ მოწოდებული დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი(V, VI კლასები) შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე, სადაც გასაგებად არის გაწერილი თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები(გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია	

სახელმწიფო ენა	პედაგოგებს კარგად ესმით შეფასების რუბრიკების დანიშნულება და ფუნქცია გრძელვადიანი სამიზნე ცნებებისა და ზოგადად სამიზნე ცოდნის კონსტრუირების პროცესში. დაწყებითი საფეხურის კათედრამ წარმოადგინა დავალებების შესაფასებლად გამოსაყენებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების (წერითი დავალების შეფასების რუბრიკა; გრამატიკის სავარჯიშოების შეფასების რუბრიკა) ინსტრუმენტები. ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.	
მათემატიკა	წარმოდგენილი რუბრიკები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს. მათ წარმოადგინეს რუბრიკები ზოგიერთი თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებების შესაბამისად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია რჩევა: სასურველია თითოეული დავალებისთვის შექმნან და გამოიყენონ კონკრეტული თემის/საკითხის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით.	
სპორტი	ფიზიკური აღზრდის საგანში სკოლას აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. ფიზიკ. აღზრდასა და სპორტის სასწავლო პროცესში გამოიყენებენ მეთოდებს, სტრატეგიები და აქტივობები სრულად შეესაბამება თანამედროვე პედაგოგიურ მოთხოვნებს და ეფექტურად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობასა და განვითარებას კერძოდ:	

	· სწავლების მეთოდების. · აქტივობებს. · ინკლუზიური მიდგომა. უსაფრთხოების ნორმების. · მოტივაციის ამაღლებას. · შეფასება და უკუკავშირის. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. ნიმუშები, სადაც აქცენტებია გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით.მასწავლებელი აქტუალურად მიმართავენ სიტყვიერ შეფასებას.,ინდიკატორი 2.12.5. დაკმაყოფილებულია.	
ტექნოლოგიები	მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ მასალაში მოცემულია როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის პროცესისა და შედეგების კომპლექსურ შეფასებას. მე-4 კლასში წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალება, დავალებაზე ორიენტირებული და ადაპტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკით. იგი მიმართულია მოსწავლეთა პროგრესის, განვითარების დინამიკისა და საჭიროებების გამოვლენაზე. ხოლო წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასებები ადგენს მოსწავლეთა მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს თან ახლავს ნიშნების კონვერტაციის სისტემაც. შეფასების რუბრიკები აგებულია ოთხდონიანი შეფასების სისტემის მიხედვით, რაც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების დონეებთან (მაღალი, საშუალოზე მაღალი, საშუალო, დაბალი). შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ და ნათლადაა ჩამოყალიბებული და უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, ხოლო მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას	

	ზუსტად იცოდნენ რა მოეთხოვებათ დავალების შესრულების დროს და როგორ მოხდება მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმოდგენილი შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, უზრუნველყოფს შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას და ხელს უწყობს მათი აკადემიური მიღწევებისა და პიროვნული განვითარების მხარდაჭერას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია	
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას ყველა საგანში წარმოდგენილი აქვს შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების რუბრიკები საგანში თითო კლასში მაინც. რუბრიკები საშუალებას იძლევა შეფასდეს გრძელვადიანი მიზნის მიღწევა. რუბრიკები ზოგადია, მიემართება გრძელვადიან მიზანს. გასაუბრებაზე გაგვაცნეს რომ რუბრიკებზე დაყრდნობით კონკრეტულად დავალებებს შეაფასებენ, ასევე გამოიყენებენ განმავითარებელ შეფასებას, დავალებაზე მუშაობისას. რჩევა: ქართულ ენასა და ლიტერატურაში I, III, IV კლასში, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში I,II,III კლასებში კურიკულუმებს დაერთოს ისეთივე შეფასების რუბრიკი რომელიც შეაფასებს გრძელვადიან მიზანთან მიმართებაში მოსწავლის მიღწევის დონეს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.	

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

- ბუნებისმეტყველების (I-VI კლასის) საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის, კათედრების, პედაგოგიური საბჭოს დებულებები;

- განათლების ხარისხის მართვის პოლიტიკა;
- რემედიაციის პროგრამა;
- სასკოლო კურიკულუმის შეფასების კითხვარი;
- შეფასების რუბრიკები ბუნებისმეტყველებაში;
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- ინვენტარიზაციის სია;

ესთეტიკური აღზრდა:
დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
განმსაზრვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
ეროვნული სასწავლო გეგმა;

კომპიუტერული ტექნოლოგიები:
- II-VI კლასის კურიკულუმები;
- შუალედური მიზნის მისაღწევი დავალების გეგმა;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
- ინდივიდულური სასწავლო გეგმის ნიმუში;
- ფოტომასალა;

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური
- კლასის კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; სასკოლო სასწავლო გეგმა;

საზოგადოებრივი მეცნიერებები:
- III - VI კლასების კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;

- ფოტომასალა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- "ინკლუზიური განათლება"
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითრების მეთოდოლოგია;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- კათედრების დებულება.

უცხოური ენების კათედრის მტკიცებულებები

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ინკლუზიური განათლება;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- რემედიაციის პროგრამა;
- მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი;
- განათლების ხარისხის მართვის პოლიტიკა;
- შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა;

სახელმწიფო ენა

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრების დებულება.

მათემატიკა:

- 1-6 კლასის კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

ფიზიკური აღზრდა და სპორტი:

- ფიზ.აღზრდისა და სპორტის კურიკულუმი
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შეფასების რუბრიკა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბუნებისმეტყველების კურიკულუმები დაგეგმილია ეროვნული სასკოლო გეგმის და სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად კლასების მიხედვით. ამას ითვალისწინებს წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა და განათლების ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.	
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; დაწყებითი საფეხურის თითოეულ კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, ამოცანები და შედეგები კონკრეტული საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით; სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.	
უცხოური ენები	კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი დაგეგმოს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარებს მეთოდოლოგია სადაც ნათლად არის გაწერილი კურიკულუმის განვითარების ფაზების კერძოდ : კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგი და შეფასების, გადასინჯვა , რევიზიის პროცესები და პასუხისმგებელი პირები. ამის დასტურია ასევე წრმოდგენილი სასკოლო საათობრივი ბადე; საგნობრივი კურიკულუმები; - საგანმანათლებლო რესურსი(ძირითადი და დამატებითი ელ.რესურსები) ; შეფასების რუბრიკები. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.	
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შუალედური(საკითხები,თემები,კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და მითითებული რესურსებიდან გამომდინარე სადაც გამოკვეთილია თუ როგორ უნდა დამუშავდეს არნიშნული შუალედური	

	და გრძელვადიანი მიზნები მაქვს მოლოდინი, რომ სასწავლო პროცესი მომავალ წელს დაგეგმილი იქნება კურიკულუმის შესაბამისად აქედან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.	
სახელმწიფო ენა	დაწყებითი საფეხურზე სასწავლო პროცესი დაეფუძნება საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი სავალდებულო თემებისა და საკითხების გააზრებას. თემების გაანალიზებისა და გააზრებისათვის, შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შერჩეული კონკრეტული საკითხების გასააზრებლად. განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის საჭირო სხვადასხვა ტიპის რესურსი და სასწავლო აქტივობები. პედაგოგებმა ისაუბრეს შემოქმედებითი დავალების სპეციფიკურ ასპექტებზე. საკუთარი პედაგოგიკური პრაქტიკის გათვალისწინებით ახსნეს და განმარტეს როგორ, რატომ უწყობს ხელს ამ ტიპის დავალებები მოსწავლეთა შინაგან მოტივაციას და მათ ჩართვას აქტიურ შემოქმედებით პროცესში. ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.	
მათემატიკა	გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სწავლებისას პრიორიტეტულ მნიშვნელობას მიანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. დავალებებს შეარჩევენ ისე, რომ მისი შესრულება საინტერესო და ამავდროულად დაძლევადი იქნება მოსწავლეებისათვის. გაითვალისწინებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია	
სპორტი	გასაუბრებისას აღნიშნეს. რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესი დაგეგმილია და განახორციელებენ სასკოლო კურიკულუმის სრული შესაბამისობით. დაგეგმვა ეფუძნება განსაზღვრულ მიზნებს, სტანდარტებსა და შედეგებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრობასა და ეფექტიანობას. კერძოდ: · სასწავლო მიზნები და ამოცანები მკაფიოდ არის გაწერილი და შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს.	

	· გამოყენებული აქტივობები და მეთოდები შერჩეულია კურიკულუმის მიზნებითან შესაბამისობაში. · შეფასების სისტემა ასახავს კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგს. · დაცულია თანმიმდევრობა და ლოგიკური განვითარება კლასიდან კლასამდე. გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. სკოლას აქვს მზაობა მაგრამ ინდიკატორი 2.2.1.1 დადასტურებულია	
ტექნოლოგიები	როგორც მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, სასწავლო პროცესი რომელსაც სკოლა მომავალში განახორციელებს დაგეგმილი იქნება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული კომპლექსური ტიპის დავალების გეგმა (რომლითაც გათვალისწინებულია შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა), აქტივობებით და შესაბამისი შეფასების რუბრიკით, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში ადაპტირებული დავალებითდა შეფასების რუბრიკით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესს გეგმავს სასკოლო კურიკულუმისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევაზე ორიენტირებულ დაგეგმვას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია	

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები განახორციელებენ იმ კურიკულუმებს, რომლებიც წარმოდგენილი აქვთ. ისაუბრეს რომ კურიკულუმის დანერგვისას ცვლილებების შეტანის შემთხვევაში ამას მოინიშნავენ და რევიზიისას ასახავენ კიდეც მომავალი წლისთვის. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.	

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა შეუძლია მოქნილად მოახდინოს რეაგირება შემხვედრ საჭიროებებზე და განახორციელოს შესაბამისი მიდგომები სასწავლო პროცესში. სკოლას შესაძლებლობა აქვს საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს შესთავაზოს მხარდაჭერა. სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და რემედიაციის წესები, ჰყავს შესაბამისი კომპეტენციების მქონე ადამიანური რესურსი, რის მიხედვით შესაძლებელია განახორციელოს კონკრეტული სახის აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეების სკოლაში ინტეგრაციის პროცესს. მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური და ინდივიდუალური პრობლემების გადასაჭრელად სკოლას ყავს ფსიქოლოგი. სკოლაში ასევე არის რესურსოთახი რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკურ- მატერიალური მასალით, რაც საშუალებას იძლევა მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით განხორციელდეს კონკრეტული აქტივობები. შესაბამისად, სკოლას შეუძლია რეაგირება მოახდინოს გამოკვეთილ საჭიროებებზე. ამრიგად, ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბუნებისმეტყველებაში შეფასების სისტემა იძლევა ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური შეფასების საშუალებას. სკოლა აცნობიერებს, რომ შეფასების რუბრიკასა და მექნიზმში ნათლად უნდა იყოს ასახული რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. შეფასების ორივე ტიპი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი არჩეული აქვთ კლასების შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვენებს.	

საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად გამოიყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როგორც ზოგად, ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალებისთვის შექმნილ რუბრიკებს, რომლებიც კათედრაზე, ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებები და წარმოდგენილი შეფასების სქემები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.	
უცხოური ენები	სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას, სამართლიანობას. კათედრას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე წარმოდგენილი აქვს შემაჯამებელი დავალების ანალიზის შაბლონი თუ როგორ მოხდება მოსწავლეთა შეფასება . ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.	
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი თუ რა შემთხვევაშია შეფასების სისტემა სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი და როგორ იხელმძღვანელებენ შეფასებისას აღნიშნული კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად, ასევე სკოლამ გადმოაგზავნა სახვითი ხელოვნებისა მუსიკის დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სადაც გასაგებად არის გაწერილი თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები(გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), აქედან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია	
სახელმწიფო ენა	მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით, მოსწავლეებისათვის ცნობილი უნდა გახდეს შეფასების კრიტერიუმები. დავალებებისთვის და მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკებისთვის შემუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც სანდო,	

	ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების სისტემის დანერგვას შეუწყობს ხელს. პედაგოგები შეეცდებიან თავიანთი პრაქტიკული გამოცდილება გააუმჯობესონ ამ კუთხით და შეფასების სისტემა გამოიყენონ მოსწავლეთა აკადემიური ცოდნის დონის განსასაზღვრად, მათი აკადემიური და შემოქმედებითი განვითარების პროცესის გასაანალიზებლად. ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს	
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა საგნობრივ სტადარტების ინდიკატორებსა და შედეგებს. შეფასება განხორციელდება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაყრდნობით. გასაუბრებისას აღნიშნეს თუ როგორ წაახალისებენ მოსწავლეებს და მიაწვდიან დროულ უკუკავშირს ინდიკატორი დაკმაყოფილებულია	
სპორტი	ფიზიკურ აღზრდასა და სპორტის შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე ,სანდო, ობიექტური და სამართლიანი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების სწორად და სრულყოფილად შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა,. შეფასების რუბრიკა გამჭირვალეა და მოსწავლეებზე კარგად აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა. სადაც აქცენტები გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. სკოლას აქტიურად გამოიყენებს სიტყვიერ შეფასება. ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.	
ტექნოლოგიები	მასწავლებელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ შეფასების პროცესში გამოსაყენებული შეფასების კრიტერიუმებს და რუბრიკებს, მასწავლებელი მოსწავლეებს და მშობლებს წინასწარ გააცნობს და გახდის ხელმისაწვდომს სხვადასხვა ფორმით (გამოაკრავს საკლასო ოთახში, გააცნობს/მიმოიხილავს დავალებაზე მუშაობის დაწყებამდე, გაუგზავნის ელექტრონული ფოსტით). ეს კი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას. წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები აგებულია ოთხდონიანი შეფასების სისტემის მიხედვით, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების დონეებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების თანმიმდევრულ და სტრუქტურირებულ	

	შეფასებას. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ჩანს, რომ შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული მისაღწევი შედეგებიდან და შესაბამისობაშია თემის ფარგლებში განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან. ამასთან, შეფასების კრიტერიუმები ადაპტირებულია კონკრეტული სასწავლო დავალების პირობებსა და მოთხოვნებზე. აღნიშნული უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, რადგან შეფასების ინსტრუმენტები პირდაპირ არის დაკავშირებული სასწავლო მიზნებთან, საგნობრივი სტანდარტის შედეგებთან და მოსწავლეთა მიერ შესასრულებელი დავალების შინაარსთან შეფასების მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, შეფასების რუბრიკები), შეფასების კრიტერიუმები, რომელიც მკაფიოდ და ნათლადაა ჩამოყალიბებული ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის სანდოობასა და ობიექტურობას, რადგან მოსწავლის მიღწევები შეფასდება სხვადასხვა აქტივობისა და ინსტრუმენტის საფუძველზე. ამასთან, დოკუმენტაციის შეწვლისას ირკვევა, რომ სკოლაში იმოქმედებს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის დამატებით მონიტორინგსა და ხარისხის უზრუნველყოფას. აღნიშნული მექანიზმი ხელს შეუწყობს შეფასების შედეგების სიზუსტის გადამოწმებას და უზრუნველყოფს შეფასების სამართლიანობასა და თანმიმდევრულობას. შესაბამისად, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას და შეესაბამება სკოლისა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს ინდიკატორი დაკმაყოფილებულია	

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას წამროდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები რომელიც გრძელვადიან მიზანს და დავალებას მიემართება. გასაუბრებისას აღწერეს თუ როგორ წახალისებენ მოსწავლეს სხვადასხვა წამახალისებლებით, მიაწვდიან მათ კონკრეტულ, აქტივობებზე მორგებულ უკუკავშირს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.	

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის ბრძ. N3 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც აღწერილია მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის პროცედურების განხორციელების ეტაპები და ჩართული მხარეები. რაც გულისხმობს შეფასების პერიოდს, შემფასებელს, ვერიფიკატორს და მუშაობის ეტაპებს, რაც აღნიშნული პროცესის გამჭირვალობისა და ეფექტურად განხორციელებას საშუალებას იძლევა. ამრიგად, ინდიკატორი შესაბამისობაშია

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლამ წარმოადგინა ოფიციალური მიმოწერა სქულბუქთან, რომლითაც ორივე მხარე გამოხატავს მზაობას გააფორმოს ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სათანადო შეფასებასა და აღრიცხვას ელექტრონულ ჟურნალში, რომლის მონიტორინგი პერიოდულად განხორციელდება. რას საშუალებას მისცემს სკოლას უზრუნველყოს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა არანაკლებ სამი წლის ვადით. ამრიგად, ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

- ბუნებისმეტყველების (I-VI კლასის) საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სკოლის, კათედრების, პედაგოგიური საბჭოს დებულებები
- განათლების ხარისხის მართვის პოლიტიკა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- შეფასების რუბრიკები ბუნებისმეტყველებაში

ესთეტიკური აღზრდა:

- დაწყებითი საფეხურის სასკოლო კურიკულუმი;
- სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექნაიზმის დოკუმენტი;
- განმსაზრვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

კომპიუტერული ტექნოლოგიები:

- II-VI კლასის კურიკულუმები;
- შუალედური მიზნის მისაღწევი დავალების გეგმა;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
- ინდივიდულური სასწავლო გეგმის ნიმუში;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- რემედიაციის წესი.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური

- 1-4 კლასის კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- III - VI კლასების კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ფოტომასალა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- "ინკლუზიური განათლება"
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითრების მეთოდოლოგია;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- კათედრების დებულება.

უცხოური ენების კათედრის მტკიცებულებები

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- ინკლუზიური განათლება
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- რემედიაციის პროგრამა
- მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი
- განათლების ხარისხის მართვის პოლიტიკა
- შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა
- სასკოლო კურიკულუმი

მათემატიკა:

- 1-6 კლასის კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

სახელმწიფო ენა

- შეფასების რუბრიკები; სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოები და აქტივობები..
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი:

- ფიზ.აღზრდისა და სპორტის კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის);
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბუნებისმეტყველების კურიკულუმებით სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი იქნება ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოთი და სხვა დამხმარე სასწავლო რესურსით. კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები – ტელესკოლის გაკვეთილები, საინტერესო ინტერნეტ–რესურსები მოწოდებულია ლინკის სახით.	

	ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.	
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში დაწყებით საფეხურზე, საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე, სხვა დამხმარე რესურსი. პედაგოგები საგაკვეთილო პროცესში გეგმავენ ელექტრონული რესურსის და სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმების, რუკების, პოსტერების, პლაკატების გამოყენებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ რესურსების შერჩევა მოხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. რესურსების შერჩევისას გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.	
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრას აქვს მზაობა იხელმძღვანელოს გრიფირებული სახელმძღვანელოებით. ასევე აარჩიონ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით ელექტრონულ და მატერიალურ რესურსები. რათა უფრო საინტერესო, ნაყოფიერი და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი , დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.	
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენებენ სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ შექმნილ დამატებით აქტივობებს, ტელესკოლის ვიდეო რესურსებს და შემოქმედებით დავალებებს, რომელსაც დიფერენცირებულად მოარგებენ სხვადასხვა კლასებს, აქედან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია	
სახელმწიფო ენა	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში სასწავლო რესურსების შერჩევისას ძირითად რესურსად გამოყენებული იქნება გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე რესურსად კი სხვადასხვა ელექტრონული რესურსები და მხატვრული ტექსტები, რაც პედაგოგთა აზრით, დაეხმარება მოსწავლეებს შესასწავლი თემების, საგნობრივი საკითხების, შუალედური და გრძელვადიანი სასწავლო მიზნების გააზრებასა და განხორციელებაში.	

	ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.	
მათემატიკა	შესწავლილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ მასწავლებლები გამოიყენებენ სხვადასხვა ტიპის რესურსებს მათემატიკაში, მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო და ზოგიერთ თემაში - დამხმარე რესურსი.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.	
სპორტი	დაწყებით საფეხურზე ფიზიკური აღზრდის სწავლა-სწავლების პროცესის დროს აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას და განვითარებას. მოსწავლეები ჩართულნი იქნებიან ისეთ აქტივობებში, რომლებშიც ისინი შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს. კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები) და თეორიული (მაგ., დაბალანსებული კვება, ჰიგიენა) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე, კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იქნებიან ჩართულები სასწავლო პროცესში. ინდიკატორი 2.2.2.1.დადასტურებულია	
ტექნოლოგიები	მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სწავლების პროცესში გამოყენებულ იქნას კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსები. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით სკოლებში არ არის წარმოდგენილი აღნიშნული საგნის გრიფირებული სახელმძღვანელო, მასწავლებლის თქმით სასწავლო პროცესში აქტიურად იქნება გამოიყენებული ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას და შეესაბამება საგნობრივი კურიკულუმის მოთხოვნებს.	

	სკოლა ძირითადად გეგმავს სასწავლო რესურსად გამოიყენოს ელექტრონული პლატფორმა school.emis.ge-ს, სადაც წარმოდგენილია სასწავლო მასალა, თემები და აქტივობები. ამასთანავე, მასწავლებელმა აღნიშნა, რომ უკვე ქმნის და მომავალშიც შექმნის საკუთარ ციფრულ სასწავლო რესურსებს (პრეზენტაციები, ინსტრუქციები, სავარჯიშოები), რაც ხელს შეუწყობს სასწავლო მასალის ადაპტირებას მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და საჭიროებების მიხედვით. მასწავლებელს აქვს მზაობა მოსწავლეებთან ერთად იმუშაოს სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამასა და ვებ-ინსტრუმენტთან, მათ შორის: Microsoft Office პროგრამებზე (Word, Excel, PowerPoint,), Paint / Paint 3D, WordPad, ვსწავლობთ თამაშით. პროგრამირების საბაზისო უნარების განვითარების მიზნით გამოიყენება ისეთი საგანმანათლებლო პლატფორმები, როგორიცაა Scratch (scratch.mit.edu) და Code.org. . აღნიშნული რესურსების გამოყენება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ციფრული კომპეტენციების განვითარებას, პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას და აქტიური, ინტერაქტიული სასწავლო პროცესის განხორციელებას. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში სისტემურად გამოიყენებს კურიკულუმით განსაზღვრულ როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექტიან განხორციელებას და თანამედროვე ციფრული გარემოს ინტეგრირებას სწავლა-სწავლების პროცესში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია	
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსების გამოყენება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში მითითებულია სახელმძღვანელოები, რიგ შემთხვევებში გვხვდება ციფრული რესურსები,	

	გასაუბრებისას აღნიშნეს რომ კიდევ შეარჩევენ დამატებით რესურსებს საჭიროებისამებრ რომლებსაც აქტიურად გამოიყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. გაიცა შესაბამისი რჩევა დაკონკრეტდეს დამატებითი რესურსი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.	

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის დებულება ითვალისწინებს საგნობრივი კათედრების მიერ საგანმანათლებლო რესურსების შერჩევას და პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებას. რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშაოს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის წესი და კათედრამ დამხმარე რესურსების ვალიდაცია ამ წესით განსაზღვრული პროცედურებით განახორციელოს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვენებს.	
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში არ არის შემუშავებულია დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის მექანიზმი, თუმცა, პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დასწყისში კათედრაზე შეარჩევენ და ოქმის სახით დაამტკიცებენ დამატებითი რესურსების ჩამონათვალს. მათი შერჩევისას გაითვალისწინებენ როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ისე მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და საჭიროებებს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. რჩევა: სასურველია, სკოლაში შემუშავდეს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის მექანიზმი.	

უცხოური ენები	2026-2027 სასკოლო სასწავლო გეგმაში არის ჩანაწერი რესურსებთან დაკავშირებით :“ სასწავლო პროცესში აუცილებელია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება როგორც მასწავლებლისათვის, ასევე მოსწავლისათვის. სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, თვალსაჩინოებები, კომპიუტერები, პროექტორები, და სხვ) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია: ✓ გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია; ✓ დამხმარე ლიტერატურა; ✓ საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები; ✓ სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები(რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ); ✓ ბიბლიოთეკა, ბუნებრივი გარემო და სხვ) საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა. სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსის შესახებ ინფორმაცია საჯაროა. სკოლში მასწავლებლები გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოებისა საჭიროებების და მიხედვით იყენებენ სხვა საგანმანათლებლო რესურსს და თვალსაჩინოებას. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.	
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი და სკოლის მიერ მოწოდებული დამატებითი აქტივობები, შემოქმედებითი დავლაებები განხილულია და შესწავლილია კათედრის მიერ და აღნიშნული რესურსები ძირითადად შერჩეულია სამინისტროს რესურსებიდან და ტელესკოლის ვიდეო გაკვეთილებიდან, აქედან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია	
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები და მათი მიზნობრიობა განხილული იქნება საფეხურის კათედრის სხდომებზე. რესურსები შეირჩევა სხვადასხვა სასწავლო-საგანმანათლებლო არხებიდან. აღნიშნული ფაქტორები ცხადყოფს დამხმარე რესურსების ვალიდურობას. ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.	

მათემატიკა	კურიკულუმებით დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსებს, რომელიც ასაკის შესაბამისი და ვალიდურია. კათედრებზე მოხდება ამ საკითხის განხილვა და მიიღება შეთანხმებული გადაწყვეტილება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.	
სპორტი	სკოლა მზაობა გამოთქვა უზრუნველყოს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც ნიშნავს,რომ გამოყენებული მასალები წინასწარ იქნება შერჩეული, შემოწმებული და შესაბამისობაში როგორც სასკოლო კურიკულუმებთან, ისე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. სასწავლო პროცესი დაეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მათზე მუშაობის პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. ინდიკატორი 2.2.2.2 დადასტურებულია	
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაცის ანალიზით და მასწავლებელთან გასაუბრებით ჩანს, რომ სკოლის მიერ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული დამხმარე, თუმცა ამავდროულად შეიძლება ითქვას, რომ ძირითადი საგანმანათლებლო რესურსი (რადგან ამ საგანში გრიფირებული სახელმძღვანელო არ არსებობს) არის საგანმანათლებლო პლატფორმა school.emis.ge. სასწავლო პროცესში გამოყენებულ იქნება ისეთი საგანმანათლებლო პლატფორმები როგორიცაა Minecraft education Edition, Scratch.mit.edu, Code.org, ასევე საგანმანათლებლო პროგრამები Word, Excel, PowerPoint, , Paint / Paint 3D, WordPad, ვსწავლობთ თამაშით. ყველა ჩამოთვლილი სასწავლო რესურსი არის სამინისტროს მიერ რეკომენდირებული და მოწოდებული ელ. რესურსი, შესაბამისად, რადგან სამინისტრო იძლევა მისი გამოყენების რეკომენდაციას, შეიძლება მივიჩნიოთ რომ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში გამოყენებული სასწავლო რესურსები არის ვალიდური. (ასაკობრივად, თემატურად შესაბამისი, უსაფრთხო გამოყენების თვალსაზრისით). რაც შეეხება სხვა დამატებით დამხმარე საგანმანათლებლო რესურსებს (მათ შორის მასწავლებლის მიერ შექმნილს) რომელთა საჭიროება შეიძლება გამოიკვეთოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, მასწავლებლის თქმით, მათ ვალიდაციას სკოლა დამატებით მოახდენს კათედრის სხდომებზე ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია	

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ასახული დამხარე სასწავლო რესურსები ვალიდურებული და ასაკთან შესაბამისია. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.	

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას სასწავლო რესურსებით, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული რესურსების სახით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვენებს.	
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი იქნება როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი, საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, კომპიუტერებით, პროექტორით, ინტერნეტით, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში, ხოლო პედაგოგს გაუადვილებს მრავალფეროვანი და საინტერესო გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.	

უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრას აქვს მზაობა იხელმძღვანელონ გრიფირებული სახელმძღვანელოებით, აირჩიონ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით ელექტრონულ და მატერიალურ რესურსები. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.	
ესთეტიკური აღზრდა	მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს რომ სკოლა მათ უზრუნველყოფს ყველა საჭირო მატერიალური რესურსით, მაგალითად მუსიკის შემტხვევაში ხმის გამაძლიერებლით, სახვითი ხელოვნების შემთხვევაში სახატავი ან საძერწი მასალით, ეს ასევე დასტურდება სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში სკოლის მიერ მოწოდებული დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით, აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია	
სახელმწიფო ენა	სასკოლო სივრცეში, სწავლა-სწავლების პროცესი უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მოსწავლეებს შეეძლებათ თავიანთი აკადემიური ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ მატერიალური რესურსები. ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.	
მათემატიკა	სკოლას აქვს ყველა საჭირო მატერიალური რესურსი სასწავლო პროცესის გამართული ფუნქციონირებისათვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია	
სპორტი	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით და სრულად გათვალისწინებული მოსწავლეთა ადგილების ზღრული რაოდენობა. სასწავლო პროცესის დასაწყისში სასწავლო გარემო აღჭურვილი იქნება საჭირო სპორტული ინვენტარითა და ინფრასტრუქტურით, რაც იძლევა შესაძლებლობას თითოეულ მოსწავლეს აქტიურად და უსაფრთხოდ ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში.	

	ასევე სკოლა აპირებს აქტიურად მიმართოს პროექტულ სწავლებას . ბავშვები მონაწილეობას მიიღებენ სპორტულ ფესტივალებში, მოძრავ თამაშებში, სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდებს (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე, რესურსებს,,პრეზენტაციებს, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ინდიკატორი 2.2.2.3 დადასტურებულია	
ტექნოლოგიები	მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუსა და სასწავლო გარემოს სურათების დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სწავლებისთვის სკოლაში შექმნილია შესაბამისი პირობები. სკოლას აქვს შესაბამისი ავეჯით აღჭურვილი, კეთილმოწყობილი და გარემონტებული კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკულ სასწავლო საქმიანობას და ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესში ხელმისაწვდომია მატერიალურ-ტექნიკური რესურსები: ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები და პროექტორი, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გამოიყენოს როგორც ციფრული სასწავლო რესურსები, ასევე ვიზუალური და საპრეზენტაციო მასალა. ლაბორატორიაში არსებული ტექნიკას მასწავლებელი გამოიყენებს პრაქტიკული დავალებების შესრულებისას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში, რადგან მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა უშუალოდ იმუშაონ პროგრამებსა და ვებ-ინსტრუმენტებთან. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ხელს შეუწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია	

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ხელს შეუწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.	

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ ჰქონდა გამოცხადებული კონკურსი, რიმელზეც შერჩეული კანდიდატებმა იმუშავეს წარმოდგენილ კურიკულუმზე და მოცემულობიდან გამომდინარე სკოლამ შესაძლებელია გააფორმოს შრომითი ხელშეკრულები. შერჩეულ კანდიდატებს აქვთ შესაბამისი კომპეტენცია, დაგეგმონ და განახორციელონ მოსწავლეზე მორგებული აქტივობები და შეაფასონ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. სკოლაში არსებობს რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ტექნიკურ- მატერიალური ბაზით, სადაც შესაძლებელია დაიგეგმოს მოსწავლეებისთვის საჭირო აქტივობები.სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეები კომპიუტერული ტექნიკით, სკოლას აქვს ბიბლიოთეკა სადაც წარმოდგენილია მრავალფეროვანი წიგნადი ფონდი. შესაბამისად, ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

- ბუნებისმეტყველების (I-VI კლასის) საგნობრივი კურიკულუმები
- სკოლის, კათედრების, პედაგოგიური საბჭოს დებულებები
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- ინვენტარიზაციის სია

ესთეტიკური აღზრდა
დაწყებითი საფეხურის სასკოლო კურიკულუმი
განათლების სამინისტროს მიერ შექმნილი დამატებითი აქტივობები და შემოქმედებითი დავალებები

კომპიუტერული ტექნოლოგიები

- II-VI კლასის კურიკულუმები;
- შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებების გეგმა;
- ფოტო მასალა.

მათემატიკა:

- 1-6 კლასის კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური

- 1-4 კლასის კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

- სასკოლო სასწავლო გეგმა;

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- III - VI კლასების კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ფოტომასალა;

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- "ინკლუზიური განათლება"
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითრების მეთოდოლოგია;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- კათედრების დებულება.

უცხოური ენების კათედრის მტკიცებულებები

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- ინკლუზიური განათლება
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- რემედიაციის პროგრამა
- მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი
- განათლების ხარისხის მართვის პოლიტიკა
- შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა
- სასკოლო კურიკულუმი

ფიზიკური აღზრდა და სპორტი:

- ფიზ.აღზრდისა და სპორტის კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) საფეხურის.
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის ანგარიში

- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)

○ ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლას 2026 წლის 20 ოქტომბრის ბრძ. N3 შემუშავებული აქვს კურიკულუმის განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები (გვ:9-11), რაც გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინდივიდუალური მიღწევებისა და განვითარების გამოკვეთას, პრობლემების გადაჭრასა და აღმოფხვრას, რისი ადამიანური რესურსი სკოლას გააჩნია, რაც სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების პროცესშიც გამოიკვეთა. ამრიგად, ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში, აღწერილია მონიტორინგისა და შეფასების პროცესი და ინსტრუმენტები, როგორიცაა მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, რომელიც თითოეული მოსწავლის მიხედვით გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის საშუალებას იძლევა, რომლის შედეგად ცვლილებები მოხდება საგნობრივ კურიკულუმებში. შესაბამისად, აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას გააზრებული აქვს მონიტორინგის შეფასების მექანიზმები და წარმოდგენილი აქვს ხედვა მისი განხორციელების მიხედვით. ამრიგად, ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილი მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებით მოახდენს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას, რაც გამოიკვეთა კურიკულუმის შემუშავების პროცესში, სადაც აქტიურად იყვნენ ჩართულები და ერთმანეთთს უზიარებდნენ მოსაზრებებს. აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით და წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით სკოლამ გამოავლინა მხარდამჭერი გარემო, რაც პროცესში იძლევა საშუალებას მთლიანი სასკოლო საზოგადოება იყოს ჩართული. ამრიგად, ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლას მოსწავლეთა მრავალფეროვანი შეფასებისთვის გააჩნია სისტემური ხედვა და მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლეთა შეფასებას განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკების გამოყენებით, ასევე მოსწავლეთა დიაგნოსტირებას, რაც

საუკეთესო საშუალებაა იმისთვის, რომ გამოიკვეთოს სუსტი და ძლიერი მხარეები, რის მიხედვით ცვლილებები შევიდეს სასკოლო კუკულუმებში, მოხდეს მისი მორგება მოსწავლეთა საჭიროებებზე და სასწავლო პროცესი დაიგეგმოს ეფექტურად. სკოლას გააჩნია ხედვა და ადამიანური რესურსი, რომლის მიხედვით მოახდენს მოსწავლეთა შეფასებას მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინებით. ამრიგად,ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლას აქვს ხედვა, რის მიხედვით მოსწავლეთა შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს კათედრების მიერ შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომელიც მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის პინციპებზე. კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია ხედვა, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა მიღწევების ანალიზს, რაც მოიაზრებს დიაგნოსტირების ჩატარებას, რაც საშუალებას იძლევა მასწავლებლებმა მშობლებს გააცნონ თავიანთი რეკომენდაციები მათი შვილის საჭიროებების მიხედვით. შესაბამისად, სკოლას აქვს გეგმა მრავლფეროვანი კონტექსტის მიხედვით მოახდინოს მონაცემების ანალიზი და მოსწავლეთა შეფასება. ამრიგად,ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლას აქვს ხედვა მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. რაც გულისხმობს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, შემაჯამებელი ანალიზის ფორმებს, შემოქმედებითი ტიპის დავალებებს რომელიც საგნობრივ კურკულუმებშია წარმოდგენილია, სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებს, რომელიც მოახდენს მოსწავლეებში სააზროვნო უნარებისა და საგნობრივი ცოდნის განვითარებას. ამრიგად,ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლას აქვს ხედვა, რომ საგნობრივი კომპეტენციის შეფასების პარალელურად მოახდინოს მოსწავლის პიროვნული განვითარების შესწავლას, რაც გამომდინარეობს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტისა და საგნობრივი კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი ბუნების დავალებების მიხედვით, რომლის მუშაობის დროს მოსწავლეს განუვითარდება თანამშრომლობის უნარები, რადგან პროცესი მოიაზრებს მშობლების ჩართულობას და მხარდაჭერას, რას საუკეთესო საშუალებაა იმისა, რომ მოსწავლის უწყვეტი განვითარება მოხდეს, რასაც ასევე ემატება შეფასების რუბრიკები

რომელიც კონკრეტული საგნების მიხედვით მოსწავლეთა მიღწევებს ამოწმებს. ამრიგად,ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია სასწავლო პროცესის განვითარებისა და მხარდაჭერის პროცესი. რაც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრების აქტიურ ჩართულობასა და გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მიხედვით კურიკულუმებში ცვლილებების შეტანას რაც სკოლის საჭიროებებზე მორგებას უზრუნველყობს. შესაბამისად, ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმის შექმნისა და განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების ფუნქცია- მოვალეობები, რაც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა. რაც გულისხმობს წინარე გამოცდილებას, საუკეთესო პრაქტიკულ მაგალითებსა და აქტივობებს, სასკოლო საზოგადოების რეკომენდაციებს და გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით საგნობრივი კურიკულუმის გადამუშავებულ ვერსიას, რისი ყველანაირი მზაობა სკოლას გააჩნია. ამრიგად, ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი: 5.07.2026



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: